
619
1974
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

ოქტომბერი
№ 10 1974 წ.

# არის 302.000 ტონა ქართული ჩაი!

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს
## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ გ. ს. ძოწენიძეს
## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილს

გულმხურვალედ ვულოცავ საქართველოს კოლმეურნეებს. საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, მეცნიერებს, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკებს, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველას, ვინც თავისი აქტიური და თავდადებული შრომით უზრუნველყო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება.

დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი ცნობა, რომ საქართველოს სსრ მეჩაიეებმა წელს მოკრიფეს რეკორდული მოსავალი და სახელმწიფოს მიჰყიდეს 302 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეთა წარმატება ადასტურებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის მშრომელთა ძალების დარაზმვისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ახალ მიღწევებს ჩაისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

მოსკოვი. 1974 წლის 16 სექტემბერი.

**ლ. ბრეჟნევი**

# იქნება 310.000 ტონა „მწვანე ოქრო!"

# ოქროს წლები

ფოტო
შოთა ჩხეტიანისა

19410








ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გაზაფხულზე, ვიდრე ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი დაიწყებოდა, ქუთაისში გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ტრადიციული ფორუმი.

შეკრების მონაწილეებმა ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებს მოწოდებით მიმართეს — ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება 292.000 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის.

დაიწყო თავდადებული შრომა მეჩაიეთა მრავალათასიანი არმია, თვეების მანძილზე, დილიდან საღამომდე პლანტაციაში დატრიალებდა და მიმღებ პუნქტებში უწყვეტ ნაკადად აგზავნიდა ჩაის ბუჩქებზე მოხვავებულ დუყებს.

ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება: 292.000 ტონა ფოთლის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 302 000 ტონა მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქრო"

საყოველთაო ზეიმის დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა გულთბილი მისალმება გამოუგზავნა საქართველოს მშრომელებს, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავლის მიღებაში.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისალმებამ ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღაფრთოვანა ჩვენი მეჩაიეები. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს 310 000 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მისცენ დედასამშობლოს.

ქართველ მეჩაიეებს პირის გატეხვა არ სჩვევიათ. თქვეს და შეასრულებენ კიდეც!

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



გენადი ვასილის-ძე
სარაფანოვი



ლევ სტეფანეს-ძე
დიომინი

# კოსმოსის შტურმი გრძელდება

**1974**

წლის 26 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი — „სოიუზ-15", რომელსაც პილოტობდა ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის პოდპოლკოვნიკ გენადი ვასილის-ძე სარაფანოვისა და ბორტინჟინერ პოლკოვნიკ-ინჟინერ ლევ სტეფანეს-ძე დიომინის შემადგენლობით.

„სოიუზ-15" ხომალდის გაშვების მიზანი ის არის, რომ განაგრძოს ამა წლის 3 ივლისს „სოიუზ-14" სატრანსპორტო ხომალდისა და „სალიუტ-3" სადგურის ფრენის დროს დაწყებული მეცნიერული კვლევა და ექსპერიმენტები კოსმოსურ სივრცეში.

„სოიუზ-15" სატრანსპორტო ხომალდის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანის შემდეგ ამხანაგებმა სარაფანოვმა და დიომინმა დაიწყეს ფრენის პროგრამის შესრულება.

1974 წლის 28 აგვისტოს „სოიუზ-15" ხომალდში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოსმონავტები გენადი ვასილის-ძე სარაფანოვი და ლევ სტეფანეს-ძე დიომინი დედამიწაზე დაბრუნდნენ. „სოიუზ-15" კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 48 კილომეტრზე ქალაქ ცელინოგრადის სამხრეთ-დასავლეთით. დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ორი დღე-ღამის ფრენის განმავლობაში ეკიპაჟი აწყობდა მეცნიერულ-ტექნიკურ ექსპერიმენტებს ფრენის სხვადასხვა რეჟიმის დროს მანევრირებისა და „სალიუტ-3" სადგურთან მიახლოების პროცესების დამუშავებისათვის. მუშავდებოდა ღამის პირობებში დაჯდომის დროს კოსმოსური ხომალდის ძებნისა და ევაკუაციის მეთოდები და საშუალებები.

ფრენის დროს მიღებულ მონაცემებს ამუშავებენ და სწავლობენ

„სალიუტ-3" სადგური განაგრძობს ფრენას ავტომატური რეჟიმით დასახული პროგრამის შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხანაგებს გ. ვ. სარაფანოვსა და ლ. ს. დიომინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხანაგებს გ. ვ. სარაფანოვსა და ლ ს. დიომინს მიენიჭათ აგრეთვე „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება.

## არის 302.000 ტონა მოკრეფილია ჩაი!

17 სექტემბერს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა მეჩაიეთა, ჩაის მრეწველობის, დამზადების, სამეცნიერო, სამრეწველო, სატრანსპორტო კოლექტივების წარმომადგენელთა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების მიტინგი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მეჩაიეთა მიერ მოპოვებულ დიდ გამარჯვებას.

პრეზიდიუმში იყვნენ: ე. შევარდნაძე, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, შ. ყარყარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ შარტავა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დოისამიძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ დავითაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ჭითანავა, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მოწინავე მეჩაიეები, რესპუბლიკის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა ამხანაგმა გ. ჯავახიშვილმა.

ტაშის გრიალში შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მიტინგზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს, უსურვა მათ დიდი ბედნიერება, სიხარული და ახალი შრომითი გამარჯვებანი.

მეჩაიეებს დიდი გამარჯვება მიულოცეს აგრეთვე სიტყვით გამოსულმა ხარატმა ნ. როდომანჩენკომ, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. უტიაშვილმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ს. ფირცხალაიშვილმა, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისადმი.

## იქნება 310.000 ტონა „მწვანე ოქრო!"

## მოსკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი

# ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

დღეს ჩვენთან, საქართველოში, დიდი დღესასწაულია. ეს დღესასწაული შემოვიდა თითოეულ ჩვენს სახლში, თითოეულ ოჯახში, დაისადგურა თითოეული მშრომელის გულში. ეს საზეიმო სასიხარულო, აღტაცებული განწყობილება გამოიწვია თქვენმა წერილმა, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენმა მოლოცვამ საქართველოს მეჩაიეებისადმი, რომლებმაც წელს მოკრიფეს რეკორდული მოსავალი და სახელმწიფოს მიჰყიდეს 302 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩვენ, მიტინგის მონაწილენი, საქართველოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელები და სპეციალისტები, მეცნიერები, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკები, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, — ყველანი, ვინც უზრუნველყო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება,—მხურვალედ, სულითა და გულით გიძღვნით მადლობას მოლოცვისათვის, თქვენი გულთბილი, გულითადი სიტყვებისათვის, იმ კეთილი, მეგობრული სურვილებისათვის, რომ ახალი მიღწევები მოვიპოვოთ ჩაისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

ცოტა ხნის წინათ, ნოვოროსიისკში გამართული ზეიმის დროს, როცა გმირ ქალაქს გადაეცით ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, გულთბილად და გულითადად ილაპარაკეთ აგრეთვე ქართველ ხალხზე, საქართველოს მშრომელებზე, იმათზე, ვინც იბრძოდა სამშობლოსათვის, ყუბანის მიწაწყლისათვის და, კერძოდ, ნოვოროსიისკისა და მცირე მიწისათვის, იმათზე, ვინც ამ ბრძოლებში არ დაიშურა ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე.

ამ სიტყვებით თქვენ ჭეროვნად დააფასეთ ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელთა მხედრული გმირობა, აღიარეთ მათი წვლილი დიდ სამამულო ომში მთელი საბჭოთა ხალხის საერთო გამარჯვებაში.

ახლა კი საქართველოს მეჩაიეებისადმი თქვენს მოსალოც წერილში დიდად შეფასებულია ჩვენი შრომითი წარმატებანი.

ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, აღგვაფრთოვანებს თქვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ მეჩაიეთა წარმატება ადასტურებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის მშრომელთა ძალების დარაზმვისათვის. და ეს თითქოს კიდევ ერთხელ ადასტურებს ნოვოროსიისკში ნათქვამ თქვენს სიტყვებს, რომ საქართველოში ყოფნის დროს, როცა იყავით მეტალურგიულ, საავიაციო, სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებლო ქარხნებში და ბევრ სხვა ადგილას, ყველგან ხედავდით, თუ რა დაძაბულად, შემოქმედებითად მუშაობენ ქართველი ამხანაგები, შრომობენ საქართველოს მუშები.

თქვენი გულთბილი, გულითადი სიტყვები გულს ჩასწვდა საქართველოს თითოეულ მშრომელს. ეს სიტყვები მოგვიწოდებენ, გვრაზმავენ ახალი წარმატებებისათვის, ახალი შრომითი გმირობისათვის.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში, ყველა შრომით კოლექტივში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა, შექმნილია ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო, სულ უფრო მეტად მკვიდრდება საქმიანი ვითარება, ნამდვილი ამხანაგობის სულისკვეთება.

საქართველოს მშრომელები წარმატებით ამთავრებენ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა წლიურ დავალებას და რვა თვის მუშაობის შედეგების მიხედვით შეადგინა 11,1 პროცენტი. რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. ახალ, უფრო მაღალ მიჯნებს აღწევს სოფლის მეურნეობა. დღითიდღე ჩქარდება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. დღეისათვის უკვე მოკრეფილია 305 ათასი ტონა ჩაი —20 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, და ვალდებულებასთან შედარებით 13 ათასი ტონით მეტი. საქართველოს მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ 310 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ძირითადად ეს იქნება პირველი ხარისხის ჩაი, და ჩვენ ამ ვალდებულებას შევასრულებთ, იმიტომ, რომ საქართველოს მშრომელთა სიტყვა მტკიცე სიტყვაა!

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად ენერგიულად, თავდადებით იბრძვიან აგრეთვე საქართველოს მევენახეები, მეხილეები, მეციტრუსეები და მეთამბაქოეები, მეჭარხლეები, მებოსტნეები, მეკარტოფილეები, მეცხოველეები, ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მუშაკები, რომლებიც დაუცხრომლად შრომობენ დევიზით „დამკვრელური შრომით ვასახელოთ სამშობლო!" — და რეალური, პრაქტიკული საქმეებით ხორცს ასხამენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულ დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი დიდ, გულითად მადლობას უძღვნიან პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენი ინიციატივით მიღებული ამ დადგენილებისათვის, იმისათვის, რომ ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვით ეკიდებით ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებას, მისი ეკონომიური პოტენციალის აღმავლობას, ხალხის კულტურის აყვავებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ, ლეონიდ ილიას-ძევ, გულთბილი, გულითადი მოლოცვისათვის, იმ ძალისა და ენერგიისათვის, რასაც თქვენი სიტყვები ანიჭებენ საქართველოს ყველა მშრომელს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, ლენინის საქმისათვის ბრძოლაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი დიადი პარტიის სასახელოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

გულწრფელად, სულითა და გულით გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ჯანმრთელობას, ახალ დიდ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, ქვეყნად მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის!

მიღებულია საქართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა, მეცნიერთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკთა, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენელთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა მიტინგზე.

1974 წლის 17 სექტემბერი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (454) ოქტომბერი, 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1974



ზეინკალი ჯემალ ორაგველიძე



დაზგები მზადაა





# სასიკეთო ბინა

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის სამმართველოს წინ ლამაზად გაფორმებული სტენდია. სტენდის შუაში გამოკრულია ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კედლის გაზეთი, რომელსაც მსხვილი ასოებით აწერია: „ღირსეულად შევხვდეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმს!“

დიახ, კიროველები ახლა მხოლოდ ერთი ფიქრით არიან განმსჭვალულნი: შრომაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებით შეეგებონ პლენუმს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი, როგორც იტყვიან, კარზეა მომდგარი. ქარხანაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს. თითოეული კომუნისტი, მრავალათასიანი კოლექტივის თითოეული წევრი პირად მოვალეობად თვლის, უკეთესად იშრომოს, მეტის გაკეთება შეძლოს, საერთო წარმატებაში თავისი წვლილიც შეიტანოს.

ნაკისრი ვალდებულებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმება ყოველთვის იდგა კიროველთა ყურადღების ცენტრში. მათ კარგად იციან, რომ წარმატების მოპოვება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მიღებულ დადგენილებებს რეალობად აქცევ, როცა სისტემატურ კონტროლს უწევ საკუთარ თავს, გულდასმით ამოწმებ თითოეული მუშის, თითოეული საამქროს მუშაობას, ეხმარები ჩამორჩენილებს, ეძიებ და პოულობ ახალ გზებსა და მეთოდებს გადაუჭრელი პრობლემების დასაძლევად.

აი, სწორედ საქმისადმი ასეთმა შემოქმედებითმა მიდგომამ განაპირობა ქარხნის საერთო წარმატება. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანა დღეს ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ჩვენს რესპუბლიკაში. თვიდან თვემდე აქ გადაჭარბებით სრულდება გეგმები.

თავისთავად ცხადია, ამ გეგმებს ადამიანები ასრულებენ, მშრალი ციფრების მიღმა სწორედ მშრომელი ადამიანები დგანან.

ვინ არიან ეს ადამიანები? რას ფიქრობენ, როგორ შრომობენ, როგორ ეგებებიან პლენუმს, რა პერსპექტივები დაუსახავთ მათ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით დასაგვირგვინებლად?

* * *

თუ თქვენ ქარხნის ისტორიის გაცნობა გსურთ, აუცილებელი არ არის, ცნობარებსა და გაყვითლებულ გაზეთებში ჩაიხედოთ. ლადო შაუთიძე ქარხნის ცოცხალი მემატიანეა, მიდით მასთან, ყველაფერს წვრილ-წვრილად ჩამოგიმარცვლავთ.

ლადო თვრამეტი წლისა იყო, როცა მშენებლობაზე მოვიდა. მის თვალწინ გაიჭრა საძირკველი, შემაღლდა კედლები, გადაიხურა შენობა.

ბევრი ოფლი დაუღვრია აქ ლადო შაუთიძეს ქარხნის მშენებლობაზე, სად იყო მაშინ მექანიზაცია? ცემენტის ხსნარს ხელით ამზადებდნენ, აგურიც ხელით აჰქონდათ ხარაჩოებზე.

ახლად აშენებულ საწარმოს თავდაპირველად „მექანიკური ქარხანა“ დაარქვეს, მერე „ნავთობსაბურღი მანქანების ქარხნის“ სახელით მონათლეს. 1936 წლიდან აქ ჩარხების გამოშვება დაიწყეს. ჯანჯიქების მჭრელ უმარტივეს ჩარხებს უშვებდნენ. თვეში რის ვაივაგლახით ამზადებდნენ ათიოდე ჩარხს.

ახლა? ლადო შაუთიძეს ეღიმება. ეღიმება და ჩვეული სიდინჯით გვიყვება, რომ ქარხანამ თავისი არსებობის ოცდათვრამეტი წლის მანძილზე 361 მოდელის 83 ათასი ჩარხი გამოუშვა.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანა უკანასკნელი სამი კვარტალის მიხედვით სამჯერ ზედიზედ გამოვიდა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში და საბჭოთა კავშირის ჩარხმშენებლობის სამინისტროსა და მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა.

ალალმართალი მუშაკაცის ლადო შაუთიძის ცხოვრების გზა გაჭრილი ვაშლივით წააგავს თავისი ქარხნის ისტორიას, მისი ზრდისა და დავაჟკაცების გზას.

აი, აქ, ამ ქარხნის კედლებში აიდგა ფეხი როგორც მუშამ, აქ ეზიარა მუშურ ცხოვრებას ლადო შაუთიძე; მუშური წრთობა, მუშური სინდისი, მუშათა კლასის ყველა საუკეთესო თვისება აქ გამოიმუშავა და შეისისხლხორცა მან.

რიგითი მუშიდან კომუნისტი ლადო შაუთიძე საამქროს უფროსის მოადგილედ დააწინაურეს.

გავიდა წლები, დადგა ქარხანასთან განშორების დღე. რას იზამ, ბუნებას თავისი კანონები აქვს. საზეიმოდ მორთულ კლუბში ლადოს აღზრდილი შეგირდები, მისი მეგობრები, ხელმძღვანელი ამხანაგები შეიკრიბნენ.

ჭაღარით მოსილ მუშას ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს, თაიგულები და საჩუქრები მიართვეს. ტკბილი სიბერე და პენსიაზე გასვლა დაულოცეს.

მოტყუვდნენ. პენსია და სიბერე ნაადრევი გამოდგა. ერთი თვეც არ იყო გასული, ლადო ქარხნის დირექტორს ეახლა და მაგიდაზე განცხადება დაუდო.

ლადო სამუშაოდ დაბრუნდა! ელვის სისწრაფით მოედო ქარხანას სასიხარულო ამბავი.

დგას მას მერე მუშაკაცი და ისევ გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, ისევ ზრდის თავისავით გულმართალ შეგირდებს, ისევ აღელვებს და ძალას მატებს ჩვენი სისხლსავსე დღევანდელი დღე.

— რა დაგიმალოთ, — დინჯად ამთავრებს ჩვენთან საუბარს ლადო შაუთიძე, — გული სიხარულით ამევსო, როცა გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ ისტორიული დადგენილების განხორციელებაში დიდ დახმარებას გაგვიწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი. პლენუმის მასალები, მისი გადაწყვეტილებები, ცხადია, ჩვენი ახალი წინსვლის, წარმატებებისა და სწორი გეზის მაჩვენებელი გახდება.

* * *

ცნობამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მოწვევის შესახებ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ქარხანაში.

დაუყოვნებლივ შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა დეტალურად შეისწავლოს მიღებული ვალდებულებებისა და დადგენილებების შესრულების მდგომარეობა. კომისიის დასკვნა დაუყოვნებლივ მოხსენდება პარტიულ კომიტეტს, საამქროთა პარტორგანიზაციებს, ქარხნის საერთო კრებებს.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანა მონოლითური კოლექტივია. ეს არის ერთი ოჯახი, სადაც ამ ოჯახის თითოეული წევრი საერთო საქმით, საერთო წარმატებით არის დაინტერესებული.

* * *

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა სოციალისტური შეჯიბრებაა.

კიროვის სახელობის ქარხანაში მუშათა აბსოლუტურ უმრავლესობას თავისი პირადი გეგმა-ვალდებულება აქვს. საამქრო — საამქროს ეჯიბრება, უბანი — უბანს, მუშა — მუშას.

ყოველთვიურად ჯამდება შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულნი ჯილდოვდებიან გარდამავალი დროშებით, ვიმპელებით, სიგელებით, პრემიებით.

შეჯიბრების საჯაროობას, მის თვალსაჩინოებას ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა. ადგილობრივი რადიოკვანძი სისტემატურად ამცნობს მშრომელებს ვინ როგორ იმუშავა წინა დღეს, რომელი საამქრო თუ მუშა დაწინაურდა. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ოჯახებს დირექცია, პარტიული, პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტი მისალოც წერილებს უგზავნიან, მადლობას უხდიან მათი ოჯახის წევრის [illegible] თავდადებული მუშაობისათვის.

ასეთი პატივისცემის, ასეთი [illegible] დაფასების, ასეთი სიკეთის მიუხედავად, აქ, კიროველთა ოჯახში, პირადულს მაინც საერთო-საზოგადოებრივი ძლევს. ის, ვისაც ეჯიბრები, შენი მოწინააღმდეგე არ არის, არ გინდა ხელი შეუშალო [illegible] გამარჯვებულის სიკეთით [illegible]. არა, საჭიროების შემთხვევაში კიროველი მუშა ძმურად უწვდის დახმარების ხელს „მოწინააღმდეგეს“, მეგობრულად უდგება მხარში, შრომაში ეხმარება, კიდევ უფრო მეტიც შეიძლება რომ გააკეთოს.

ამას წინათ კიროველ ბორის ხეფიაშვილს ბავშვი გაუხდა ცუდად. საავადმყოფოში დააწვინეს. სასწრაფოდ დასჭირდა სისხლის გადასხმა.

ზეინკალ-გამომცდელმა ჯემალ ორაგველიძემ მაშინვე დათო დიღმელიძე და ლომგულ ჭარიაშვილი აიყოლია. ბიჭები გულხეთქებით მივარდნენ საავადმყოფოში: ბორის ხეფიაშვილის ბავშვს ჩვენი სისხლის ჯგუფი აქვს და ჩვენი სისხლი გადაუსხითო. დაალმასებული ბიჭები უკან ძალის-ძალად გამოაბრუნეს ექიმებმა: თქვენი შველა არა გვჭირდება, ყოველგვარი ზომები უკვე მიღებულია, ბავშვი თავს კარგად გრძნობსო!

* * *

ეს ზღაპარი ქარხანაში მიამბეს.

ერთხელ, ერთმა მოხუცმა კაცმა თურმე თავის ვაჟს უთხრა: წადი, შვილო, ქვეყანა მოიარე, სასიკეთო ბინა აიშენეო. დაბრუნდა ვაჟი, მამას აზარა, ქვეყნის ოთხივე მხარეს სახლები ავიშენეო.

— ეჰ, შვილო, — უსაყვედურა მამამ, — მართლა სახლი კი არ უნდა აგეშენებინა, მეგობრები უნდა შეგეძინა, მათ გულებში უნდა დაგედო სასიკეთო ბინა.

ამ ზღაპრის სიბრძნე კარგად იციან კიროველებმა. ამ საწარმოში ოცდახუთი ეროვნების წარმომადგენელია შედუღაბებული ერთ სასიკეთო ოჯახში. ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის გატანა, შრომისა და მშობლიური ქარხნის უსაზღვრო სიყვარული! — აი, რა აერთიანებს მათ.

სწორედ ეს ადამიანები ჰქმნიან ციფრებს, რომლებიც ქარხნის ახალ-ახალ მიღწევებზე ლაღადებენ.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში გეგმის მიხედვით მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის სასაწყობო მეურნეობის 80 პროცენტი მექანიზირებული უნდა გაეხადათ. ეს დავალება უკვე მიმდინარე წელს შესრულდა. მექანიზაციის დონე ახლა 82 პროცენტამდეა აყვანილი. წელს გათვალისწინებული იყო 48 შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდის დანერგვა, უკვე დანერგილია 40 მეთოდი, რომლებმაც 100 ათას მანეთზე მეტი წლიური ეკონომია მისცა ქარხანას. მეცხრე ხუთწლედის განვლილ წლებში პროდუქციის გამოშვების [illegible] საკონტროლო ციფრებთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა. ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში 1970 წლის მაჩვენებლებთან შედარებით [illegible] მატებამ 7,5 პროცენტი შეადგინა. კიროველებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მიმდინარე წლის რეალიზაციის გეგმა 28 დეკემბრისათვის შეესრულებინათ და ზეგეგმით 100 ათასი მანეთის პროდუქცია გამოეშვათ. ახალი შემხვედრი გეგმით ქარხანაში ახლა [illegible] დეკემბრისათვის გაანაღდებენ რეალიზაციის გეგმას და სამშობლოს დამატებით მისცემენ 300 ათასი მანეთის მაღალხარისხოვან პროდუქციას.

ასეთი დიდი წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სისტემატური კონტროლის გარეშე. ქარხნის წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარი [illegible] კონტროლის [illegible] ორგანიზებაა, მაგრამ [illegible] იქნებოდა [illegible], რომ საქარ[illegible] უკვე [illegible].

კიროველებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. დადგენილებებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სწორი, უწყვეტი კონტროლი [illegible] ერთ-ერთი [illegible], რომელიც შემდგომში კიდევ უფრო მტკიცედ უზრუნველყოფს საერთო წარმატებას.

ქარხნის კომუნისტები, ყველა მშრომელი დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმს. მათ იციან, რომ პლენუმი დასახავს ახალ გზებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას მისცემს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს დანერგონ დასახული ამოცანების შესრულების კონტროლისა და შემოწმების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, აამაღლონ მშრომელების აქტივობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გრანდიოზული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

გივი ძინძიბაძე

ზეინკალი ჯემალ ორაგველიძე და უფროსი ოსტატი რეზო ჩემია.



მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, პ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე



ა. ყაზბეგი. ნახატი უჩა ჯაფარიძისა

# მოხევე, ლელთ ღუნია...

„ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მიძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა, განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულაუმღვრევლად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხს, რომ გეგონებოდათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

— რა გქვიან, ძმობილო? ვკითხე მე.

— ... ლელთ ღუნიას მიხმობენ, მომიგო მან.

— სადაური ხარ?

— სადაველ? გაიბოტნიდამ, აქავ მთაჩია, თერგკიდურზედ.

— ქართველი ხარ, თუ ოსი?

—ოვსი რაიდ ვიქნები? ქართველ ვარნ, მახევე".

კითხულობ დიდი ილიას ამ უბადლო სტრიქონებს და მთელი არსებით გრძნობ, თუ შენს შეგნებაში როგორი შუქნათელით შემოდის ბრძენი მოხევე ლელთ ღუნია. დიდებული რამ არის მისი სიტყვა-პასუხი! ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო! საქვეყნო ფიქრით ძილგამტყდარი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე და ხანდაზმული ლელთ ღუნია ერთად გადიან სტეფანწმინდიდან, მთის ცხენებზე ამხედრებულნი, საუბრობენ, რომლის კილოკავებში ახალ-ახალის ფერებით ისახება მთელი ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი.

ჭეშმარიტად დიდი ნაწარმოებია „მგზავრის წერილები" და დაუვიწყარი სახეა ამ ნაწარმოების მთავარი გმირი — მოხევე ლელთ ღუნია. მაგრამ ჩვენი წერილის მიზანი „მგზავრის წერილების" განხილვა არ არის. ჩვენ, როგორც ერთი უბრალო მკითხველი, სტეფანწმინდიდან გასულ მხედრებს ფეხდაფეხ მივდევთ და გვინდა, წიგნის კითხვის დროს აღძრული ფიქრები გაგიზიაროთ.

რა ფიქრებია ეს ფიქრები? რა შეგვიძლია ახალი ვთქვათ „მგზავრის წერილების" გარშემო საზოგადოდ, და ლელთ ღუნიას შესახებ, პირადად? ცნობილია „წმინდა სამების ერთა საბჭოც" და „ხელთუქმნი არშის ციხეც". ცნობილია სოფელი გაიბოტენი, რომელიც „აქავ მთაჩია, თერგკიდურზედ". მაგრამ დღემდე ცნობილი არ არის ლელთ ღუნიას ნამდვილი გვარსახელის წარმომავლობა.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ საკითხის გარკვევა. მით უმეტეს, რომ მისი გარკვევის გასაღებს თავად ლელთ ღუნია გვაძლევს. „ლელთ ღუნიას მიხმობენო, — ამბობს ის, — მოხევე ვარ, სოფელ გაიბოტნიდამ"...

ხევში გვარების დაბოლოება „შვილი", „ძე" და „ური" ხშირად იცვლება ასო „თ"-ანით. მაგალითად: ჩოფიკაშვილი სიმონა (ჩოფიკეთ სიმონაი), ქირიკაშვილი გელა (ქირიკეთ გელაი), საბაური ელგუჯა (საბაურთ ელგუჯაი), ხულელიძე ჯღუნა (ხულელთ ჯღუნაი) და ა. შ. ამასთან, თუ გვარი დიდია, ანდა გვარში სახელგანთქმული წინაპარია (მათი სახელის სადიდებლად და საამაყოდ), გვარის დაბოლოებას წინაპრის სახელსაც ურთავენ. მაგალითად: ჩოფიკეთ სიმონაის გივარგი, საბაურთ ელგუჯაის ეტაი, ხულელთ ჯღუნაის (ან ჯღუნიაის) ლინჯაი...

ახლა, გვარების ასეთი დაბოლოებით თუ განვიხილავთ ლელთ ღუნიას გვარსახელის წარმომავლობის საკითხს, ძნელი არ იქნება დიდი ილიას ნაფიქრის მიხვედრა და ლელთ ღუნიას პროტოტიპის დადგენა.

სოფელ გაიბოტენში ორად-ორი გვარის — ხულელიძის და ჩაბაკაურის — რამდენიმე კომლი ცხოვრობს. ასე იყო წინად, ჩემს ბავშვობაში და ასე არის ახლაც. მაგრამ, თუ უფრო შორს წავალთ და თვალს გადავავლებთ ისტორიულ წყაროებს, ვთქვათ, ეთნოგრაფიულ წერილებს, ანდა ადრინდელ სტატისტიკურ აღწერებს, დავრწმუნდებით, რომ ხევის სოფელ გაიბოტენში მხოლოდ ორადორ გვარს უცხოვრია. ამ მხრივ მეტად უტყუარი საბუთია 1774 წლის „აღწერა არაგვის ხეობისა", რაიც აგრეთვე ერეკლე მეორის მორიგი ჯარის სიაც არის. ამ აღწერაში მოხსენებულია სოფელი გაიბოტენი და ამ სოფლის მხოლოდ ორი მეკომური ხულელიძე და ჩაბაკაური. სხვათა შორის, სოფლის სიაში, რიგით მესამედ, ვკითხულობთ „აქავ ხულელიძე პაპის შვილი ისე და ღურმი. კ[ომლ]ია, თავი ბ.," რაიცა იმას გვაუწყებს, რომ იმჟამად ხევის სოფელ გაიბოტენში ერთ-ერთი მეკომურის წევრი ყოფილა ხულელიძე (ანუ ხულელთ) ღურმიაი.

ამრიგად, თუ ლელთ ღუნია სოფელ გაიბოტნიდან არის და იმ სოფელში კი მხოლოდ ჩაბაკაურები და ხულელიძეები ცხოვრობენ, რომელთა გვარებიც მოხეურად „ჩაბაკეთა" და „ხულელთა" დაბოლოებით გამოითქმის, მაშინ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლელთ ღუნია" იგივე „ხულელთ ღუნია" არის. ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ილია ჭავჭავაძე ლელთ ღუნიას დაწერისას გვარის წინ მრავალ წერტილს უსვამს, რაც წინა ასოების შემოკლებად უნდა ვიგულისხმოთ, მაშინ ჩვენი ეს მოსაზრება საბოლოოდ დადასტურებულად მიგვაჩნია. ე. ი. დიდმა ილიამ გვარსახელი ხულელთ ჯღუნია გააკეთილშობილა და საბოლოოდ მკითხველს მეტად ქართულმჟღერი გვარსახელით წარმოუდგინა.

სხვათა შორის, „მგზავრის წერილების" გამოქვეყნებიდან ოცდასამი წლის შემდეგ ხევის მკვიდრმა ალექსანდრე ყაზბეგმა, რომელიც ალბათ ზედმიწევნით კარგად იცნობდა მოხეურ გვარებს და აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ლელთ ღუნიას გვარსახელის წარმომავლობაც კარგად იცოდა, თავის „ხევისბერ გოჩას" ასეთი შენიშვნა დაურთო: „ეს მოთხრობა სიტყვით-სიტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა ლინჯა ხულელმა".

ერთი სიტყვით, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან და ალექსანდრე ყაზბეგის შენიშვნიდან საბოლოოდ ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძესაც და ალექსანდრე ყაზბეგსაც ერთი და იგივე მოხევე შეხვდა, რომელთა გვარსახელიც ხულელიძე (ხულელთ) ჯღუნა, ლინჯა, თუ ღუნია იყო.

ამრიგად, ამ შენიშვნიდან და სხვა მრავალი ჩანაწერიდან ნათლად ირკვევა, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ლინჯა ხულელს, როგორც ტკბილ მოსაუბრესა და მრავალი ლექსის გამომთქმელს. მისგან არაერთი სახალხო ლექსი და მოთხრობა ჩაუწერია. ამის დასტურად ყაზბეგის უბის წიგნაკში ინახება ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილი „გლოვა მთიელთა", რომელსაც ასეთი მინაწერი აქვს: „ეს ლექსი გამიგონია ხევში ლინჯა ხულელისაგან, რომელიც სხვა ლექსებთა შორის ამ გლოვასაც მოსთქვამდა ხოლმე და ყოველთვის იმ ადგილზე ამთავრებდა, რომელზედაც მე შევწყვიტე".

აი, ამ „გლოვის" დასაწყისიც:

ალზდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია...

და ბოლოს —

ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა,
კაზმული უცხო მერანი,
არ განილვიძებს, მოსულ არს,
ბედისა ჩვენის წერანი.

აქამდე რაც ვთქვით და დავწერეთ ლინჯა ხულელის შესახებ, მხოლოდ მწერლის უბის წიგნაკიდან იყო ამოღებული. მაგრამ იგი — ლინჯა ხულელი, ყაზბეგისათვის მარტო სახალხო ლექსების მთქმელი არ არის. მწერლის მხატვრულ პროზაში ლინჯაც

ისევე შევიდა, როგორც ელგუჯა და მათია. მოხუცი ლინჯას — ლინჯა ხულელის დაუვიწყარი სახეა გადმოცემული „ელგუჯაში".

აი, ერთი ამონაწერი ამ მოთხრობიდან:

...„ავადმყოფ სიმონ ჩოფიკაშვილის თავთან იჯდა მოხუცი ლინჯა, რომლისთვისაც გათეთრებული წვერი ხანსა და დროს რაოდენადმე შეეყვითლებინა. ეს იყო მთაში განთქმული მეფანდურე და ჭკუამახვილი, გრძნობით სავსე მელექსე... ტკბილ მოსაუბრე... ყოველი სიმის ჩამოკვრაზედ ფანდურს ისეთს ხმას აღებინებდა, რომელიც კაცს გულს უწურავდა და ოფლს დაასხამდა".

ამ მცირე აღწერის შემდეგ ლინჯასა და სიმონს შორის იმართება ცხოველი საუბარი ხევის ადათწესებზე, მის წარსულსა და მომავალზე. აქ ბრძენი ლინჯას სიტყვა-პასუხი ისევე მტკიცეა, როგორც დარიალის კლდეები და სუფთა, როგორც უმტვერო თოვლი ზამთრის პირზე.

ჩვენი მოსაზრების დასტურად სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ ესეც კმარა. თუ ილია ჭავჭავაძის ლელთ ღუნია და ალექსანდრე ყაზბეგის ლინჯა ხულელი ცხოვრების სინამდვილიდან აღებული ერთიდაიგივე პიროვნებაა (რაშიაც ჩვენ ეჭვი სრულიადაც არ გვეპარება), მაშინ ალექსანდრე ყაზბეგის მთელი შემოქმედების გასაღებად შეგვიძლია მივიჩნიოთ „მგზავრის წერილებში" გამოთქმული წუხილი.

„მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარით ხარ ნაჩხვლეტი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უცნაურმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო გამეცი ამისი პასუხი!"...

დიდი ილიას ეს ბრძნული გამონათქვამი ახალგაზრდა ყაზბეგმა თავისი შემოქმედების დროშად გაიხადა და ამრიგად, ერთი შეხედვით, მას საასპარეზო გზა თითქოს გაკვალულიც დახვდა. მაგრამ სინამდვილეში სხვა რამ გაირკვა. დიდხანს, ძალიან დიდხანს იბრძოდა იგი თავისი ნაწერების ბეჭდვის უფლების მოსაპოვებლად. ბოლოს, როგორც იქნა ცა გადაიხსნა და მაშინდელი პრესის ფურცლებზე წვიმასავით წამოვიდა ალექსანდრე ყაზბეგის „ციცკა", „ელგუჯა", „მამის მკვლელი", „ელისო", „ციცია", „განკიცხული", „ხევისბერი გოჩა", „ელეონორა", „მოძღვარი"... ადამიანის სულიერ საზრდოს მოწყურებული მკითხველი ხარბად დაეწაფა ამ უშრეტ წყაროს, „დროებისა" და „ივერიის" ფურცლები ხელიდან ხელში გადადიოდა, ქართველი მკითხველი „ახალ ჰომეროსს" აღმერთებდა და მაინც მისმა ახლობლებმა ვერ გაიგეს ალექსანდრე ყაზბეგის ფასი. მაშინ, როდესაც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხანჯალშემართული ყაზბეგის გმირები სიკვდილს ეთამაშებოდნენ, თავად ყაზბეგი, იმავე გმირების ხანჯლებით ცეკვავდა სცენაზე.

მწერლის შემოქმედებითი წვის ოთხი წელი იყო მეტად დაძაბული და დამღლელი. იმ ოთხ წელიწადში ათასი წლის სავალი განვლო და ამ ქვეყნიდან ხელხვავიანი წავიდა. მაშინ ორმოცდახუთი წლის ალექსანდრე ყაზბეგი სოფელ სტეფანწმინდაში ჩაასვენეს და საგვარეულო სასაფლაოზე ლინჯებმა დაიტირეს.

— ორჯერ დაბადებულს, ღვთიური მადლით ცხებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს. — წერდა გაზეთი „ივერია" ყაზბეგის გარდაცვალების გამო. ახლა ჩვენც ვამბობთ: ჭეშმარიტად ვერაფერს ვერ უზამს სიკვდილი. ალექსანდრე ყაზბეგი ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს მადლიერი ქართველი ხალხის გულში.

ალექსანდრე გომიაშვილი

## ალ. ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილო ტანჯულის ქვეყნისავ,
სულ დაჰლიე ტანჯვითა,
მიუხვალ მამა-პაპათა
ამოღებულის ხანჯრითა...
ცრემლად დამდნარის გულითა,
დაღლილი მტრისა ჯავრითა!..
ჯავრი ტანს ნაბდად გეხვევა,
ცრემლი მიგყვება საგძლადა
და ტრფობა შენის ქვეყნისა
უქმს და ხელუყრელს აბჯრადა.
თავს დგმული ეკლის გვირგვინი
ფერხთ-წინ დაუგდე გმირებსა,
მამულისათვის გამწყდართა
იმ საქართველოს შვილებსა.
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,
გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში!
პირობა ქართველებისა,
ვგონებ, მიგყვება უბეში!..
უჩვენე შენი კალამი,
ნაწები სისხლის გუბეში!

ვაჟა-ფშაველა

# „ივერია" ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ

ა. ყაზბეგი ქანდაკება ვახტანგ კოტეტიშვილისა



ჩვენს დროში ალექსანდრე ყაზბეგი სრულიად განცალკევებული დგას. იგი არის განხორციელებული იდეა, იდეა მაღალი და ნათელი, გამსჭვალული სამართლიანობის გრძნობით და სამშობლოს სიყვარულით. ყაზბეგი ყოველთვის მხნედ და საკვირველი სიმართლით ხატავს სამართლიანობისა და თავისუფლების გადალახვისა და შებღალვის სურათს. აქ, ამ სფეროში, როდესაც თავისუფლების მოყვარული, ლაღი, უშიშარი მოხევე ებრძვის ძალმომრეობას, ყაზბეგი მართლა რომ გასაოცარია და ყოვლად შეუდარებელი... იმისი ნაწერის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია სამშობლოსა და მისი მოძმის უმაღლესი სიყვარულით, იმ გრძნობით, რომელიც კაცობრიობისა და ცივილიზაციის საუკეთესო სამკაულია.

სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ ყაზბეგის სახელით, რომელიც არ დაავიწყდება ქართველ ერს, ვიდრე ცოცხალი იქნება ქართული ენა.

„ივერია", მოწინავე, 1893 წელი, № 268.

გარდაიცვალა!.. სიცოცხლე მისი მოკლე იყო, მაგრამ სრული, ცოტა იცოცხლა, მაგრამ ბევრი შექმნა. სასახლეში კი არა ჟღერდა მისი ქნარი ამ ქვეყნის ძლიერთა სმენის დასატკბობად, მისი სიმის ხმა მხოლოდ დარიალის მიდამოებში გაისმოდა, იქ, „სადაც", პოეტისა არ იყოს, „დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან".

გარდაიცვალა!.. მაგრამ ვინ მოიგონა ეგ სიტყვა?.. უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს? ორჯერ დაბადებულს ღვთიური მადლით ცხებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი — კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას.

„ივერია", 1893 წელი, № 269.



მესიმინდე დურუ ხარჩილავა.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

## ერთია მათი სიტყვა და საქმე!

სოფელი ობუჯი (წალენჯიხის რაიონი).

# მადლი შრომისა

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესახვედრად ემზადებიან, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯს ვეწვიეთ.

აქ, სამეგრელოს ამ წარმტაც სოფელში, ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, წინასაპლენუმო განწყობილება სუფევს. ობუჯელი მშრომელები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რომ შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებებით ხელდამშვენებულები შეხვდნენ პლენუმს.

დიდ საქმეს შესჭიდებიან ობუჯელები. ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს მათ იკისრეს მოკრიფონ ათასი ტონა ჩაი, სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობა 30 ცენტნერამდე აიყვანონ, აწარმოონ მეტი ხორცი, რძე, გაზარდონ ყოველგვარი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

— პარტიის დავალებას შევასრულებთ!

— პარტიის განაწესს განვახორციელებთ!

ამ დევიზით შრომობენ ახლა ხუთწლედის ვახტზე მდგარი ობუჯელი კოლმეურნეები.

## მეჩაიე

სოფლის ერთ-ერთი მკვიდრი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა წლევანდელ საერთო გამარჯვებაში, ციბა მესხიაა.

სოფლის ცენტრს რომ გასცდებით, საითაც გაიხედავთ, მწვანედ მოხასხასე ჩაის ბუჩქების დაუსრულებელი მწკრივებია. გზის პირას, ფერდობზე შეფენილი პლანტაცია მაინც ყველაზე მეტად მოგტაცებთ თვალს.

ეს ციბა მესხიას ნაკვეთია.

ციბა დილიდან სალამომდე პლანტაციაშია, დგას და გამალებით კრეფს ჩაის.

შებინდების ხანს პლანტაციასთან „ჟიგულის" საყვირის ხმა გაისმის. ციბა მუშაობას ამთავრებს და შინ მიეშურება. ასე იყო მთელი სეზონი: უთენია მოდიოდა ციბა პლანტაციაში და მხოლოდ შებინდების ხანს სტოვებდა პლანტაციას.

მხოლოდ გზაში თუ ამოიღებს ხმას ციბა. არა, სიტყვაძუნწი კი არ არის, მუშაობის დროს საუბარს გაურბის, ლაპარაკში ყურადღება მეფანტება და ნაკლებ ჩაის ვკრეფო, ასე ამბობს ციბა მესხია.

ციბას ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს მიმაგრებული... ამ ფართობზე მას გეგმით 3 800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა.

მოწინავე მეჩაიეს ალარც კი ახსოვს, როდის შეასრულა ეს გეგმა. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებას ჯერ კიდევ კარგა ხანი აკლდა, როცა ციბა მესხიას უკვე 8 500 კილოგრამი „მწვანე ოქრო" ჰქონდა მოკრეფილი.



მეჩაიე ციბა მესხია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასოფლელები გამარჯვებას გულწრფელად ულოცავდნენ ციბას.

ციბა, მართალია, იღიმებოდა, მაგრამ ისე ეტყობოდა, მთლად კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყო. ქალები მხრებს იჩეჩავდნენ.

— ეს ნახევარი ჰექტარი ზღვად ხომ არ გადაიქცევა, შე ქალო! — ღიმილით ეუბნებოდნენ მეზობლები.

— უნდა გადაიქცეს! — ჯიუტად ამბოშდა ციბა, — ხუთწლედის მომავალ წელს ნახევარ ჰექტარ ფართობიდან 10 ტონა ჩაი უნდა მოვკრიფო!

ყველამ იცის, რომ მესხიას ტყუილი დაქადნება არ უყვარს. ნახევარ ჰექტარიდან კი ამდენი ჩაის ფოთლის მოკრეფა მართლაც რომ ძნელია. ძნელია, მაგრამ ციბასა და ათასობით მის მსგავს მეჩაიეს რომ სიძნელეების შეშინებოდათ, ვერც ასეთ სასახელო გამარჯვებას მიაღწევდნენ.

ჩვენმა მეჩაიეებმა კი მართლაც რომ საქვეყნოდ გვასახელეს.

ციბა მესხია ისევ პლანტაციაში დატრიალებს. ჩაის ფოთლის კრეფის ცხარე დღეები მიიწურა. ახლა ლაო ჩაია საკრეფი.

გზიდან „ჟიგულის" საყვირის ხმა მოისმის. ციბა მესხია მეზობლის მანქანაში ჯდება და წალენჯიხაში მიჰქრის. მეჩაიე ქალი რაიონის ცენტრში შოფრობას სწავლობს. დღე-დღეზე ელოდება მანქანის მიღებას.

მალე საკუთარი „ჟიგული" ეყოლება მეჩაიეს. მეზობელს აღარ შეაწუხებს ციბა, დედას, დას და ერთ რომელიმე მეგობარს — ფაცია მხეიძეს, ანდა დონარა ხარჩილავას ახლა თვითონ მიიყვანს ხოლმე პლანტაციაში.

ასეა, დიდ შრომას კარგი ანაზღაურება მოსდევს, კარგი ანაზღაურებაც, ხალხის პატივიცა და სიყვარულიც!

## მეველე

უთენია დგება ბიჭიკო კაკაჩია, ჯერ ჭაჭახის უბანში სიმინდის ყანებს დაივლის, მერე საძოვრებს ჩამოუვლის. რკინის პალოებზე მიბმული ძროხები ბალახიდან თავს აიღებენ, შეაჩერდებიან ცვარში ამოლუმპულ მეველეს.

კაკაჩია პალოებს მოსინჯავს, მაგრად ზის თუ არა მიწაშიო.

დილის შემოვლა თითქმის ყოველთვის მშვიდობიანად მთავრდება. დანაშაული უფრო ხშირად სალამოობით ხდება ხოლმე. აი, თუ გინდათ, ისევ ძროხები ავიღოთ; ზოგი უხიაგი პირუტყვი, ბალახით გულს რომ მოიჯერებს, ძალა რომ შეემატება, პალოს მიწიდან ამოგლიჯავს და ჩატაროებული სიმინდის ჩაროზად დაყოლებას მოიწადინებს.

...იმ დღეს სამი წითელი ძროხა ნახა კაკაჩიამ შუაგულ ყანაში. ფოჩიანი კუდებით ბუზებს იგერიებდნენ და თან არხეინად შეექცეოდნენ ნედლ ტაროებს. მეველემ ბოსელში უკრა თავი უმეთვალყურეოდ მიშვებულ ძროხებს. აღშფოთებას ვერ ფარავდა, ყვიროდა, მთელი მოსავალი გაათხრესო.

— კი მაგრამ, შენს ძროხას მაინც რაღას ერჩოდი? — სიცილს ვეღარ იკავებდა კოლმეურნეობის აგრონომი.

კაკაჩიამ თავის „დაპატიმრებულ" ძროხას გადახედა.

— ჩემი ძროხა რაღაა?! ვითომ ჩემი ძროხა სხვებზე ნაკლებად მიირთმევს ტაროებს? ძროხა ძროხაა, ბაბაია!

სოფელში იმ დღესვე ხმა დაირხა, ბიჭიკო კაკაჩიას ყანაში სხვისი საქონელი რომ ვერ უპოვია, თავისი ძროხა დაუჭერიაო.

ბიჭიკო ყურს არ უგდებს მეზობლების მითქმა-მოთქმას: თავისი საქმე თვითონ იცის.

— თქვენ გგონიათ, მარტო მესიმინდე და მეჩაიე ასრულებს გეგმებს? მასე არ არის ბაბაია, აბა მიუშვი ყანებში მთელი ობუჯის ძროხები, ნახავთ, რა დახლი დაგიდგებათ, სიტყვა გაგიცუდდებათ, სიტყვა, აბა!

თენდება. მეველე უკვე მოჩრდ უვლის კოლმეურნეობის თვალუწვდენელ მინდვრებს. ასეა წლიდან წლამდე. ბიჭიკო კაკაჩია საიმედოდ იცავს ხალხის ნაამაგარს.

## მესიმინდე

— არ უნდა თქვა სახალხოდ, კაცო, ამას და ამას გავაკეთებო, — უსაყვედურებს მეუღლე დურუ ხარჩილავას, — სიტყვა რომ ვერ შეასრულო, ხომ მოგვეჭრება თავი სოფელში! 300 ფუთ სიმინდს ეხუმრები?!

დურუ თავჩაქინდრული ზის სახლის ლაფაროში და თოხს ქლიბით პირს ულესავს.

— ჰოდა, რომ შერცხვე, შენვე აგე პასუხი, — არ ცხრება ქალი, — მეც კი ვფიქრობ, 500 კილო ჩაი მივუმატო ჩემს ვალდებულებას, მარა ქვეყანა კი არ შემიძრავს შენსავით!

დურუ იღიმება.

— შარშან ხომ შევასრულე პირობა, — თითქოს თავისთვის ამბობს იგი.

— შარშან სხვა იყო, — პასუხობს ცოლი.

— ჰოდა, წლეულსაც სხვა იქნება! — ისევ იღიმება დურუ, — წლეულს უფრო სხვა იქნება. ექვსი ათას მეტრ ფართობზე შეიძლება მეტიც მოვიწიო!

ასეთი დიალოგები თურმე ყოველ სალამოს იმართებოდა დურუ ხარჩილავას ოჯახში.

ბოლოს თვით ნაცად მესიმინდესაც შეპარვია ეჭვის ჭია და კიდევ ერთხელ ძირ-ძირ დაუვლია ყოველი მცენარე, ყველა ძირი სიმინდი ისევ შეუმოწმებია. ეს ცოლისთვის, რა თქმა უნდა, არ უთქვამს, არც სხვისათვის გაუნდვია.

აშოლტილი მცენარეები ამაყად დგანან გალაღებულ მიწაზე; ცერის სიმსხო ფესვები ოდნავ მოუჩანთ ნიადაგიდან. მაინც რა მალე იზრდება ეს დალოცვილი! გუშინ თითქოს არაფერი ემჩნეოდა, დღეს კი ხანჯლებივით გაშვერილი ფოთლების ძირებში დურუმ აბრეშუმისფერი ფოჩები შენიშნა. თითო ფოჩი თითო ტაროა. ერთ მცენარეზე ორი-სამი ტარო კი დაახლოებით 50 ცენტნერი სიმინდია.

ასე ფიქრობდა გამოცდილი მესიმინდე, სიმინდი კი თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, აბრეშუმის ფოჩები თანდათან ხუნდებოდა...

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელსაც უხვი მოსავალი მიიღო ცნობილმა მესიმინდემ დურუ ხარჩილავამ. წელსაც ისახელა თავი. მისი გამრჯე ხელით მოწეული ზეგეგმითი სიმინდიც შეემატა ჩვენი მხვნელ-მთესველების მიერ მოყვანილ მარცვლეულს.

## შოფერი

ჩაის ფაბრიკამდე ექვსი კილომეტრიღა დარჩა. ბუხუტი მებონიას მანქანის კაბინიდან თავი გამოუყვია და ღიღინებს. უეცრად საჭე დასხლტა და ავტომობილმა მარჯვენა მხარეზე ჩაიმუხლა.

— საბურავი გასკდა, — უხალისოდ ჩაილაპარაკა მებონიამ, მანქანა დაამუხრუჭა, კაბინიდან გადმოვიდა და დაშვებულ წინა მარჯვენა თვალს გახედა. მართალია, ჩაით სავსე ყუთებს ბრეზენტი ეფარა, მაგრამ აგვისტოს მზის სიმხურვალეს ბრეზენტი რას დააკავებდა?!

— დაიღუპება მთელი დილის ნაკრეფი! — გაიფიქრა შოფერმა, კანტორაში წასვლა დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, უკან 7-8 კილომეტრის გავლას, ალბათ, ერთ საათზე მეტს მოუნდებოდა.

გზის პირას დადგა, რომელიღაც სატვირთო მანქანას გზა გადაუღობა.

— გიჭირს რამე? — უხალისოდ იკითხა უცნობმა შოფერმა.

— საბურავი გამისკდა, სათადარიგო საბურავი არა გვაქვს, ვერ მივილეთ... თან ჩაი მიფუჭდება!..

— მერე შენი რა ბრალია? კოლმეურნეობას თუ საბურავი არა აქვს, შენ მაგისთვის ვინ რას გეტყვის, დაჯექი, კანტორაში აგიყვან.

— არა, ჩაი ფაბრიკაში უნდა წავიღოთ.

— დაშვებული საბურავით?

— შენი მანქანით! — უცნაური ხმით ამბობს მებონია.

— აბა, კარგად იყავი, — ჩაილაპარაკა უცნობმა და მანქანა დაძრა.

მებონია საფეხურზე შეხტა, კაბინაში ხელი შეჰყო და სიჩქარე გამორთო.

უცნობმა კოლეგის ამღვრეული სახე რომ დაინახა, ცოტა არ იყოს ნირი წაუხდა.

— ახლავე გადმოდი და მომეხმარე! — ბრძანა ბუხუტიმ.

შოფერმა მხრები აიჩეჩა და მანქანიდან გადმოვიდა.

— ასე გეთქვა, შე კაცო, — უხასიათოდ ჩაიბურტყუნა და პირველი სწვდა სავსე ყუთებს.

ჩაის ყუთები რამდენიმე წუთში გადატვირთეს უცნობის მანქანაზე.

აქ მხოლოდ ერთი ფაქტი მოვიყვანეთ. მსგავსი და სხვა მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება. ბუხუტი მებონია შოფერია, მაგრამ თავისი შრომით, პატიოსნებით, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით ცნობილ მევენახეებზე, მეჩაიეებზე, მესიმინდეებზე ნაკლებ საქმეს როდი აკეთებს!

ივერი ტაბიძე

ბონდო კეშელავა

* * *

გზა და გზა დამდევს, არ მშორდება მისი აჩრდილი,
დღეს დღენი ებრძვის, არ მასვენებს ჩურჩული მისი...
მემუდარება ფერმიმკრთალი და თავდახრილი:
— რა იქნება, რომ კვლავ აჩქამდეს შენში ის სისხლი,
იმ დღეებისა, რომ დაჰქროდი თავბრუდასხმული,
გამიხსენო და გააცოცხლო ჩვენი წარსული...

რად შემომიჩნდი, განა ცოტა რამ გისახსოვრე,
რა მიუმატო, ჩემო კარგო, იმ ღობე-ყორეს,
წრფელი გულით და წრფელი სულით მე რომ ვაშენე,
შენი მშვენებით, ტრფიალებით რომ დავამშვენე.
არარა შემრჩა, მშვენიერო, შენზე უთქმელი,
შენზე ოცნებით და ფიქრებით დაუთუთქველი!

ვლადიმერ თორდუა

# გულისთქმა

გულით დიდხანს მიტარებია ეს სახეები. ახლა, ქაღალდზე რომ გადამაქვს, თითქოს წინ დამცვენოდნენ მოწყვეტილი თურაშაულები. მერედა, რა წარმტაცად ღვიოდნენ, დალოცვილები, ხეზე, რარიგ ლივლივებდნენ ფოთლების შარიშურში, ნანაობდნენ ოქროსფერ მზის სხივებში! რანი არიან მოწყვეტილნი!..

* * *

რა გუნებაზე დადგებოდა ვიოლინო, ხემის ნაცვლად სიმებზე ცოცხი რომ ჩამოეკრათ! ასეთ გუნებაზე მაყენებს ხოლმე უადგილო ხმაური.

* * *

ბრძოლაში სიცოცხლე და სიკვდილი, წერაში — სიბრძნე და სისულელე უახლოესი მეზობლები არიან.

* * *

როგორც საპონი ხალიჩას, ჩემი გულიც ზედ ელევა ამ ჭრელ ცხოვრებას.

* * *

ზოგი მწერალი ეძებდა და პოულობდა ფათერაკებს; მე მეძებდნენ და მპოულობდნენ ფათერაკები.

* * *

იმედი მაქვს ქარისა, ნისლს რომ შემომიფანტავს.

* * *

სტრიქონებს მკითხველის გულამდე ბაგირის გამძლეობა მართებთ.

* * *

მილიონერი ვარ და კაპიკის დაკარგვას არ მივტირი: — მილიონი მკითხველი ჩემია, და თუ შენ ერთი დამიკარგიხარ, ეს არად მიჩნს.

* * *

გავლენიან წრეს რომ მიეტმასნება, მდარე მწერალიც კი იმ მატარებლის მგზავრი ხდება, მწვანე გზა რომ აქვს.

* * *

— შენზე ხნიერი მე არა ვარ. სხვა საქმეა, რომ შენზე დიდი ხანია ვცოცხლობ — ცოტა მძინავს.

* * *

ჩემი ბოლო დროის მცირედი წარმატებების სიხარული ილევა ჟანგბადის ბალიშის ჰაერივით. ახალი ჩქარა!

* * *

იმდენი სიტყვა თავის ადგილს დამასმევინა, რამდენი ტყვიაც ბრძოლის ველზე მე ამცდენია!

* * *

ერთნი ამბოქრებულ მდინარეზე ჯებირს აგებენ, მეორენი — შორიახლო წყალს ნაყავენ.

* * *

ყოველ მოშურნეს ნებას აძლევენ, თავში წამითაქოს. მერე მასვე შეშფოთებით ეკითხებიან, ხელი ხომ არ გატკინა ამ საძაგლის თავმაო.

* * *

ადგილზე ვიწვი, და სხვაგან ვანათებ.

* * *

რომელია მერცხლის სამშობლო?!

* * *

ბრძოლის ველზე შიშის გრძნობა ჩლუნგდება, თავგანწირვისა — ბობოქრობს.

* * *

არაერთხელ აურევიათ ჩემი ღვინო და სხვისი თხლე, და თანაბრად გაუყვიათ.

* * *

არიან მექრთამენი, ფულის ნაცვლად სულს რომ ართმევენ ადამიანს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდუღებელი ბეგლარ გოგოლაძე



ბრიგადირი შოთა მოდებაძე



# რუსთაველი ზლობინელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეს რუსთავში ქირვეული ამინდი იყო — ისეთი ძლიერი ქარი ქროდა, იფიქრებდით, ქვას ქვაზე არ დატოვებსო. ქალაქში იშვიათად დაინახავდით გარეთ გამოსულ ადამიანს.

რუსთავის ახალი მიკრორაიონის განაპირა მშენებარე ობიექტებზე კი შრომა გაჩაღებულიყო. იქით ტრაქტორები და ბულდოზერები გრიალებდნენ, აქეთ სამშენებლო მასალით დატვირთული „ბელაზები“. აი, ამ მშენებარე სახლებს შორის ოთხთვალაზე შემდგარი ერთი ვაგონ-ოთახია, რომელიც სოციალისტური შრომის გმირის შოთა მოდებაძის განთქმული მშენებელთა ბრიგადის განუყრელი თანამგზავრია. სწორედ ეს მოძრავი ვაგონია სტუმარ-მასპინძლის საყუდარი.

შოთა მოდებაძემ ამ ვაგონში წამოიწყო მეტად საინტერესო საუბარი და თავზე მშენებლები რომ არ წამოგვდგომოდნენ, ალბათ, სამხრობამდე გასტანდა იგი.

შოთას საუბრის გაგრძელება მაინტერესებდა, ამიტომ ვაგონში შემოსულთა გასაგონად ვთქვი:

— ვერ გამიგია, მაინც ვინ არის მართალი! მეფოლადეებს რომ ჰკითხო, ჩვენზე საამაყო პროფესია არავის აქვსო, ასევე ფიქრობენ მემონტაჟეებიც, კაშხალმშენებლებიც... პროფესიაზე სიტყვა რომ ჩამოუგდოთ მაღაროელებს, მაშინვე ასეთ ანდაზას მოიშველიებენ: „ბუზი ბევრი შზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო“.

— ყველანი მართალი არიან! — ღიმილით თქვა შოთამ, — ვისაც გულით უყვარს თავისი პროფესია, იგი მუდამ ამაყობს კიდეც!.. ვერც იმაში გაამტყუნებ რომელიმე მათგანს, თავისი ხელობა სხვისას რომ ურჩევნია... მაგრამ, მე მგონი, — მან თავის ბრიგადის წევრებს გადახედა, — არის ერთი განსხვავებული პროფესია, რომელსაც შეიძლება ბედნიერი პროფესია ეწოდოს... გგონიათ, მშენებლები რომ ვართ, იმიტომ ვტრაბახობთ?!

— რატომაც არა! — ჩაერია საუბარში ერთ-ერთი მშენებელი, — თუ გვაქვს სატრაბახო, რა არის ამაში ცუდი?!. რუსთავში სამასი საცხოვრებელი სახლი ჩვენი აშენებულია!

— სამასი? — ცოტა არ იყოს ციფრმა დამაეჭვა.

— სამასი! ზოგი ხუთსართულიანი, ზოგი რვიანი, ზოგიც ცხრასართულიანი! მაშ, არა გვაქვს სატრაბახო?!

შოთამ დინჯად მოუკიდა სიგარეტს და შეწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა:

— რიცხვი ერთია, მაგრამ იმის გაფიქრება, ჩვენს აშენებულ სახლებში რამდენი ოჯახი, რამდენი მოხუცი და ახალგაზრდა, მრავალშვილიანი თუ ახალდაქორწინებულნი ბედნიერად ცხოვრობენ, სულ სხვაა!.. იმაზე დიდი ბედნიერება რა არის, როცა შენს აშენებულ სახლს ჩაუვლი, რომლის ყოველ აგურს, ყოველ კუნჭულს, ყოველ კიდეს შენი ხელი შეხებია, დილიდან საღამომდე ოფლი გიღვრია და რომელშიც ახლა ადამიანები ცხოვრობენ... ყოველი ახალი სახლის ჩაბარება, ახალი ბედნიერებაა მშენებლისათვის!

სწორედ საქმის ასეთმა სიყვარულმა მოიყვანა აქ ეს მკლავმოუღლელი ჭაბუკები.

ხარისხსა და ტემპში ბადალი რომ არ ჰყავს, იმიტომ არის შოთა მოდებაძის ბრიგადა სახელოვანი. მონდომებასა და ოსტატობას დღითიდღე ახალი დიდება მოჰქონდა ამ მოუღლელი, საქმეში ჯიუტი ბრიგადის თავკაცისათვის. საქართველოს ყველა კუთხიდან რუსთავს მშენებელთა დელეგაციები მოეშურებოდნენ, რომ ამ მუშაკაცის ნახელავი საკუთარი თვალით ეხილათ, მისი გამოცდილება გაეზიარებიათ.

აქაურ მშენებლებს რომ ეგონათ, ასეთი ჩქაროსნული ტემპებით მშენებლობის იქით რაღაც საიდუმლო იმალებაო, სწორედ მაშინ გამოქვეყნდა პრესაში საქვეყნოდ ცნობილი მშენებლის ნიკოლოზ ზლობინის წერილი. ზლობინის მეთოდით შენება, როგორც ცნობილია, მშენებარე სახლების საექსპლოატაციოდ ჩაბარების ვადების შემცირებას, ხარისხის გაუმჯობესებასა და სამშენებლო მასალის ეკონომიას ითვალისწინებს! ყოველივე ეს კი დაუყოვნებლივ მოითხოვს მთელი ბრიგადის მუშაობის გარდაქმნას, რადგან ზლობინის მეთოდი სამუშაოთა დაძლევისათვის თითოეული მუშის მაღალკვალიფიციურობას, მომიჯნავე პროფესიების დაუფლებას, შრომის დისციპლინის დამყარებასა და სწორ ორგანიზაციას, მოწინავე მეთოდებისა და ტექნიკის შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას ითვალისწინებს.

ერთი და ორი დღე როდი დასჭირდა შოთას, ვიდრე საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტდა.

და აი, კარგა ხნის აწონ-დაწონის შემდეგ შოთა ზელენოგრადში მიავლინეს.

ეს იყო 1972 წლის თებერვალში.

შოთა ახლაც აღელვებით იგონებს ზლობინთან პირველ შეხვედრას, ნოვატორი მშენებლის საუბარს, მისი ბრიგადის წევრების შრომით ენთუზიაზმს. ძნელი იყო შოთასთვის ზლობინის მეთოდით მუშაობის დაწყება: იგი ახლა თვითონ უნდა ყოფილიყო მთელი მშენებარე ობიექტის ერთპიროვნული ხელმძღვანელი. სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმა „ბრიგადული იჯარა“ ბრიგადის ხელმძღვანელს ავალდებულებს პასუხი აგოს სამუშაოთა მთელ კომპლექსზე.

და აი, დაიდო პირველი ხელშეკრულება სახლმშენებელი კომბინატის ადმინისტრაციასთან. შედგა სამშენებლო მასალით მომარაგებისა და მშენებლობის ვადების დაცვის გრაფიკი. დღე დღეს მისდევდა, თვე—თვეს. რუსთაველ მშენებლებში საფუძვლიანად იკიდებდა ფეხს ზლობინის მეთოდი. თავდაპირველად გაუჭირდათ — მომიჯნავე პროფესიების დაუფლებას დრო, ენერგია და გამოცდილება სჭირდებოდა. მაგრამ დადგა მღელვარე დღე, როცა ამ სიახლეს თავისი სიკეთე უნდა დაემტკიცებინა. სიხარულის საბაბს ვინ მოთვლის, მაგრამ შოთას ბრიგადის სიხარულის საბაბი მაინც სულ სხვა იყო: ბრიგადამ რუსთავის მეთოთხმეტე მიკრორაიონში 126-ბინიანი ცხრასართულიანი სახლი 225 დღის ნაცვლად 190 დღეში ჩააბარა. დამკვეთ ორგანიზაციას მთელი 35 დღის ეკონომია და 16.900 მანეთის ზეგეგმითი მოგება! ბრიგადის თითოეულმა წევრმა ნორმით გათვალისწინებული 2,2 კვადრატული მეტრის ნაცვლად 3,5 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი ააშენა. ამან კი დღიური გამომუშავების თანხა 7 მანეთიდან 10 მანეთამდე გაზარდა.

შოთა მოდებაძის ბრიგადას ზლობინის მეთოდით დღეისათვის დამონტაჟებული აქვს თორმეტი ცხრასართულიანი სახლი, რომლებიც დროზე ადრე, ხარისხიანად და დანაზოგით გადაეცა საექსპლოატაციოდ.

შოთა მოდებაძემ სიჭაბუკიდანვე შეიყვარა შრომა. მან, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, კოლმეურნეობაში თამბაქოს რეკორდული მოსავლისათვის შრომის წითელი დროშის ორდენი დაიმსახურა. ხოლო შემდეგ მშენებელი გახდა და ყოველდღიურმა თავდადებულმა შრომამ საქვეყნო აღიარება მოუტანა: 1966 წელს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ახლახან ერთხელ კიდევ მოვინახულე შოთა მოდებაძის ბრიგადა. შესვენების დროს დიდხანს ვისაუბრეთ საჭირბოროტო საკითხებზე. ზოგი ამინდის ქირვეულობაზე ლაპარაკობდა, ზოგი — სხვა ხელშემშლელ მიზეზებზე. სიტყვა ჩამოვარდა სახლმშენებლობის კომბინატზე და მაშინვე მომაგონდა ჩვენი პირველი გაცნობის დღე ვაგონ-ოთახში.

მშენებელი დანიელ კუძიევი კარგა ხნის კამათის შემდეგ შოთას მიუბრუნდა:

— სათქმელი დროზე უნდა ითქვას, თორემ მერე ხომ იცი, მივიწყება იცის. ხათრი და მორიდება საქმეს არ უხდება!

— არ მერიდება, მაგრამ რამდენჯერ უნდა ვთქვა?! — შოთამ სიგარეტს მოუკიდა, — ამას წინათ შეკრებაზეც ხომ აღვნიშნე: ზოგჯერ სამშენებლო მასალას ვერ ვღებულობთ დროულად და კომპლექსურად, როგორც ეს ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევა, როცა რკინა-ბეტონის ნაკეთობანი დეფექტურია და მის სრულყოფაში დრო გვეკარგება. ეს მდგომარეობა ცნობილია ჩვენი ტრესტის ხელმძღვანელობისათვის, იმედია, გადამჭრელ ზომებს მიიღებენ. პრეტენზიები გვაქვს დამკვეთ ორგანიზაციასთან და ბანკთან — ობიექტის დროზე ადრე ჩაბარებისათვის ზოგჯერ პრემიას არ გვაძლევენ... საერთოდ, ნიკოლოზ ზლობინის მეთოდით მუშაობამ ბრიგადას, სამშენებლო ორგანიზაციას ძალზე კარგი შედეგი მოუტანა. ხელის შეწყობა გვჭირდება, მოგვამარაგონ ისე, როგორც საჭიროა და მერე სწრაფად, იაფად, კარგად ნაგები შენობები ჩვენზე იყოს!

...სიამაყით მიაბიჯებ რუსთავის ახალ მიკრორაიონში, მარჯვნივ და მარცხნივ გულს ახარებს მშრომელთა კოხტა საცხოვრებელი სახლები — რუსთაველ მშენებელთა სასახელო შრომის ნაყოფი!

ვიტალი მიქიაშვილი



ბრიგადა შესვენებაზე

ფოტო თ. არჩვაძისა.



კოლაუ ნადირაძე ახალგაზრდობაში

# ჩემო „სავარდო და სამაისო"

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის გახსენება

შენ არ შეცვლილხარ, ჩვენო აღმზრდელო,
უცვლელი დარჩა შენი მშვენება.
ვდგავარ შენს ახლოს და მეჩვენება,
შენი ბრწყინვალე აღმოცენება,
ჩვენი ბავშვობის მტკიცე დამცველო!

აქ ზღურბლსა შენსა გადააბიჯეს
გოლიათებმა მშობელი ერის,
პირისუფლებმა ქართული ენის,
მისი ჭირისა და მისი ლხენის —
ჩვენ რომ დიდების მზე მოგვანიჭეს!

აქ ფრთებს ვისხამდით, აქ ვიზრდებოდით,
აი აქ მოხდა დავაჟკაცებაც.
ჩვენ აქ ერთმანეთს მხოლოდ ვხვდებოდით,
ზეცას გულით და ხელით ვწვდებოდით —
არ მქონდა ზღვარი ჩვენს გატაცებას.

რა უცნაურად მიდის ცხოვრება,
რა უცნაურად ტრიალებს ბედი!
ზოგს განდიდების ესხმება რეტი,
ზოგს არ შემორჩა სინდისის წვეთიც...
მხოლოდ რჩეულთა დიდბუნოვნება
ხალხს მუდამ, მუდამ ემახსოვრება!

საოცარია დიდბუნოვანთა
მოკრძალებული ქცევა, სურვილი!
და მათგან ერთმა გულის წყურვილი
სამშობლოსადმი ასე წარმართა,
როცა თავდაბლად ტოვებდა ანდერძს,
ესოდენ დიადს, უბრალოს, ახლოს:
„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და რო მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედამიწის ბევრს არ გთხოვ —
შენს მიწას მიმაბარეო,
ცაფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!"

მაგრამ ანდერძის ერთი რამ
ვერ შეგისრულეს, პოეტო:
ვერ დაგთმო მშობლიურ კერამ,
ზე კალთა თუმც დაგაფარა,
მთლად მიწას ვერ მიგაბარა,
იქ ობლად ვერ მიგატოვა,
რადგან მარადის ცოცხალი
გულის სიღრმეში დაგტოვა!

ამ თეთრ კედლებში ის აღიზარდა,
დღესაც იგრძნობა აქ მისი სუნთქვა!
მისმა გენიამ აქ ინავარდა
და ლექსიც მისი პირველ აქ ითქვა!
ღმერთო, რარიგად მიტაცებს გრძნობა,
რომ ხშირად, ხშირად მე მას ვხედავდი,
რომ წილად მერგო მისი გაცნობა,
რომ მის მახლობლად ყოფნას ვბედავდი!

თქვენ, ვინც წარსულში, მამობრივ გრძნობით,
გვირჩევდით სწორ გზას ცოდნის, ზნეობის, —
სადა ხართ ახლა? თქვენგან დარგული
სიკეთე ჩვენში არ დაკარგულა:
ვემსახურებით ხალხს ჩვენ ერთგულად —
ჩვენს მშობელ ქვეყნის კეთილდღეობას!

სადა ხართ ახლა? კურთხეულ იყოს
თქვენი სიმკაცრეც და მზრუნველობაც!
ითმენდით ჩვენსა ბავშვურ სიბრიყვეს,
მაგრამ ნერგავდით სულში მხნეობას,
პატიოსნებას და სათნოებას —
კაცობისათვის მტკიცე საძირკველს.

ო, არასოდეს არ წაიშლება
ჩემში ნათელი სახება თქვენი!
კვლავ ოცნებაში ჩემს წინ იშლება
აქ უდარდელად განვლილი დღენი.
კურთხეულ იყოს, და დაილოცოს
შრომაც, შეცდომაც, ტკივილიც წუენის!

რარიგ შმაგია კაცის ბუნება,
ო, რარიგ იწვევს ის გაოცებას!
ვის არ სურს ყრმობის კვლავ დაბრუნება,
არ იგრძნო ერთხელ მან ეს ცდუნება,
და არ შეასხა ფრთები ოცნებას?!

მაგრამ, შერცხვენილ, ბოროტ წარსულის
ვის რათ სჭირდება ხელახლა განცდა?
ვის რათ სჭირდება, ვინც სწორ გზას ასცდა
მისი წარსულიც იყოს დაცული?
რომ განმეორდეს ისევ და ისევ
ცხოვრება მავნე და თვალთმაქცური?!

პოეტო, შენი გული სპეტაკი
კვრაებს, ჭალათებს არ სცემდეს თაყვანს!
შენა ხარ ერის ხმალი და ფარი,
შენა ხარ მისი თრთოლვა და ქნარი,
შენ ხომ ღმერთებთან გწადს საუბარი,
შენ ხომ ღმერთები გირწევდნენ აკვანს!

მაშ რა გაღონებს? იყავი შენთვის,
თუნდაც ლატაკი, ძონძებში თუნდაც!
დიად სიყვარულს ტკივილი ერთვის!
ჯვარს გოლგოთამდე ატანა უნდა.
ეს ის გზა არის გულით რომ გსურდა!
ეს ასე იყო, იქნება მუდამ!
ჯვარს გოლგოთამდე ატანა უნდა!

რა უცნაურად მიდის ცხოვრება,
რა უცნაურად ტრიალებს ბედი!
ზოგს განდიდების ესხმება რეტი,
ზოგს არ შემორჩა სინდისის წვეთიც!..
მხოლოდ რჩეულთა დიდბუნოვნება
ხალხს მუდამ, მუდამ ემახსოვრება!
სასწაულს მხოლოდ ჰქმნის სიყვარული,
სხვა სასწაულის არ ვარ მნახველი!
არა ხილული, ცრემლი ფარული
არის ღრმა გრძნობის გამომხატველი...
ო, თქვენ, ცრემლებო დაუნახავო,
სიღრმეში მორცხვად რომ იბადებით!
არ ხართ არვისგან დასაძრახავი,
ხილული მაინც ნულარ გახდებით!
რათ გინდათ ჰპოვოთ გამოძახილი,
ვერავის არგებთ, ვის რათ სჭირდებით?!

ამოშრით, დაცხრით! საწუთროეთი
არ ითხოვს თქვენგან გმობას, ან დასტურს!
წუთიერ ყოფნის მიეთ-მოეთი
გზას ვერ ასცდება გაკვალულს, მაცდურს!

ჩემო კეთილო, ასეთი ფიქრი
შენც, ალბად, ხშირად არ გასვენებდა!
მაგრამ ამ ლექსში, ვფიქრობ, ის გიკვირს —
თუ ამ კილოზე რა მამღერებდა,
როცა ეპოქის ძალა და სიბრძნე
ახალ ცხოვრების შექმნისკენ მიჰქრის?

მაგრამ ეს ხევდა და დაფიქრება,
შემოქმედებას გვირგვინით ამკობს!
როს ეს სამყარო გარდაიქმნება,
და კაცი ჰპოვებს სანატრელ სამყოფს,
თუ ახალ სიტყვას კვლავ გახვედს გრდემლი —
ერთი რამ მაინც არ შეიცვლება:
კვლავ პოეზიის მუზა იქნება:
ტრფიალი, ბრძოლა, ფიქრი და ცრემლი!
ოფელიაზე ფიქრი სტანჯავდა
დანიელ პრინცის გულს ნასხივოსნებს...
უწმინდეს ტრფობის ქარცეცხლი[illegible]
ბეატრიჩეს და ლაურას მგოსნებს!

მაგრამ მშობლიურ საქართველოდან
განდევნილ პოეტს რათ კ[illegible] და[illegible]?
რათ მიჰყვებოდა მოუშორებლივ
მიუწვდომელის ღვთიური [illegible]?
შორს, საფრანგეთში, [illegible] მიჰქონდა
ვინჩის სახება ფარული ტრფობის?
რათ ინახავდა ლონემიხდილი,
მთვარის შუქსაც მას არ აკარებდა,
და სიკვდილის ჟამს მისი ღიმილი
წუთს უკანასკნელს უნეტარებდა?

ასეთი არის ეს საოცარი
დაუძლეველი ძალა სულისა!
მას ვერ დაფარავს კუბოს ფიცარი,
ბედკრულ სიცოცხლის ტანჯვა, სიმწარე
და ვერცა ხვედრი განწირულისა!
სამშობლოსათვის თავდადებულთა,
გმირთა, წამებულთა, ვინ დასდოს ფასი?!
ვინ არ ინახავს მათ ხსოვნას გულთან?!
რა დიდებაა ამისი მსგავსი!
სხვა რა წუთია, როცა სიკვდილი
დამარცხებული ბრძოლის ველს სტოვებს?
როდესაც ხდება ისე ადვილი
დასთმო ამ ქვეყნად შენი ადგილი,
როცა ერთ წუთში, როცა ერთს წამში,
ადამიანი, თავშეწირვაში,
რაღაც ზეციურ [illegible] ჰპოვებს!

ჩემო ქალაქო, ვინ არ [illegible]
შენი სიტურფის წინაშე თავი!
ბევრჯერ გსმენია ბრძოლის ნაღარა,
ბევრის დამსწრეა შენი ქალარა,
მაგრამ მძლავრია კვლავ შენი [illegible]!

ვიგონებ მას, ვინც გრძნობით შეგაქო,
ვინც ლექსი გიძღვნა, შენ საამაყო.
ერის წარსულის დიდო მარაგო,
პოეზიის და ტრფობის ქალაქო,
ჩემი ბავშვობის, ყრმობის ალაგო,
მარად „სავარდო და სამაისო"!

კოლაუ ნადირაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლი პრისტავკინი

## ადამიანთა დერეფანი

[illegible]

ეს ამბავი ორმოცდაერთ წელში მოხდა. ჩაბნელებულმა და გამკაცრებულმა მოსკოვმა ჩვენ, ბავშვები, ომს რომ გადავურჩინეთ, მატარებლებში ჩაგვსხა და ციმბირისკენ გაგვისტუმრა. ნელა მივდიოდით, ჟანგბადის ნაკლებობა გვახრჩობდა და შიმშილი გვტანჯავდა. ჩელიაბინსკში მატარებლიდან გადმოგვსხეს და სადგურში წაგვიყვანეს. ღამე იყო.

— აქ საჭმელს გაჭმევენ, — გვითხრა ნიკოლაი პეტროვიჩმა, წელში მოხრილმა, ავადმყოფობისგან ჩაყვითლებულმა კაცმა.

სადგურის კამკამა შუქმა თვალი მოგვჭრა. მაგრამ მალე სხვა რამეც დავინახეთ. ლტოლვილთა მრავალათასიანი ბრბო მქსეოდა ერთადერთ რესტორანს. იქ იძვროდა რაღაც შავი, გუგუნებდა, ყვიროდა. ჩვენთან უფრო ახლოს კი, ზედ ლიანდაგზე, იდგნენ, ისხდნენ, იწვნენ ადამიანები. აქ იწყებოდა რიგი.

ჩვენ ვიდექით და შევცქეროდით ფანჯრებს. იქ იყო სითბო, იქ ადამიანებს თეფშებს უვსებდნენ ცხელი, ოხშივრიანი სიცოცხლით. მერე ჩვენი ნიკოლაი პეტროვიჩი ყუთზე შედგა და რაღაც დაიყვირა. და ჩვენ ვხედავდით, რა ნერვიულად უხტოდა გამხდარი მხრები. ხმაც



სუსტი ჰქონდა, ჭლექიანი ადამიანისა რას გააწვდენ ხმას ამ დაშეულ ლტოლვილებში, რამდენიმე დღეობით რომ დგანან აქ?

მაგრამ ადამიანები უცებ შეინძრნენ, უკან გადაქანდნენ და პაწია ბზარმა გაჰპო ის ვეება შავი ბრბო. მერე კიდევ დავინახეთ: ვილაცეებმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და შექმნეს დერეფანი. ადამიანთა დერეფანი.

მერეც გვარიანად მახეტიალა ცხოვრებამ, მაგრამ მუდამ მეგონა, რომ კვლავ ამ ადამიანთა დერეფნებში დავდივარ. მაშინ კი — ჩვენ მივდიოდით ამ მოქანავე, ცოცხალ, მძიმე დერეფანში. სახეებს ვერ ვხედავდით, ეს იყო მხოლოდ ადამიანთა დიდი და საიმედო კედელი. შორს კი მოსჩანდა კამკამა შუქი, სადაც ძალზე თბილოდა, სადაც პირთამდე აგვივსეს თეფშები და თითო ულუფა სიცოცხლე გვიწილადეს.

### ნიკოლაი პეტროვიჩი

ნიკოლაი პეტროვიჩი ხშირად შემოდიოდა ხოლმე ბიჭების საწოლ ოთახში: გვიმღეროდა, გვიამბობდა ნაირ-ნაირ ამბებს. მაგრამ უფრო მეტად გვესაუბრებოდა თავის ვაჟსა და მშობლიურ ქალაქ ვოლოკოლამსკზე. ყველამ ვიცოდით, რომ ვოლოკოლამსკი განათლების განყოფილების განკარგულებით დახტოვა და რომ მისი ვაჟი ნამდვილი საბჭოთა მეთაურია, მტერს ავლებს ფაშისტებს.

როცა ინტერნატში რაიმეს მწვავე ნაკლებობა იყო, ბიჭები ხელად ვხედებოდით ხოლმე: ასეთ დღეებში ნიკოლაი პეტროვიჩი განსაკუთრებით წელში გამართული და მტკიცე ნაბიჯით შემოდიოდა, ჩატკეცილი ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული.

—იცით, ბავშვებო, რამდენი პური გვექნება ომის მერე? ფუფუკი, საუცხოო პური... ჩემო საყვარელო ბიჭუკელებო.



მაგიდაზე საუკეთესო პურით სავსე თეფშებს გამოიტანენ, მოგვეცათ ლხენა, მაშინ კი ვჭამთ, რაც ამ ომში დაგვაკლდა.

და დანამდვილებით ვიცოდი, რომ ხვალ იმ ფურფუტა ულუფასაც აღარ მოგვცემენ. იმიტომ რომ ინტერნატში იმ პურის ფინჩხაც კი აღარ არის. მაშინ მივდიოდით ჩვენს ბოსტნებში, ვქექავდით თოვლს და გაყინული კვლებიდან ვჩიჩქნიდით კომბოსტოს მაგარ და თოკივით უგემურ ფესვებს. იშვიათად თუ გაუღიმებდა ვინმეს ბედი და სტაფილოს წააწყდებოდა. და ერთ ასეთ დღეს ყველაზე პატარა ბიჭუნამ, სოკოლიკმა, ჩაფიქრებით თქვა:

— გათავდება ომი და გვექნება ბევრი, ბევრი კომბოსტოს ფესვი...

ორმოცდაერთი წლის მძვინვარე ზამთარი იდგა. ერთხელ ნიკოლაი პეტროვიჩი ვიღაცის საწოლზე ჩამოჯდა და მკაცრად თქვა:

— იცით, ბავშვებო, ომი რომ გათავდება, ყველა ქალაქს ხელახლა ავაშენებთ. საუცხოო ქალაქები გვექნება... და ომის არავითარი კვალი აღარ დარჩება, როგორადაც არ უნდა წარყვნან ახლა ჩვენი ქალაქები დამპყრობლებმა.

და ჩვენ მივხვდით, რომ ფაშისტებმა აიღეს ნიკოლაი პეტროვიჩის მშობლიური ქალაქი.

სუსხიანი იანვარი იდგა. ერთ ბნელ საღამოს, როცა უკვე დასაძინებლად ვწვებოდით, საწოლი ოთახის სიბნელეში შემოვიდა ნიკოლაი პეტროვიჩი. დაჯდა და ხმისამოუღებლად მიყურდა. ყინულის ლოლუებს ჩაეთეთრებინა ფანჯრები და ჩანდა, როგორ ორთქლავდა მინა. და უცებ ნიკოლაი პეტროვიჩმა თქვა:

— ომი რომ გათავდება, დაბრუნდებიან ჩვენები... ზოგის მამა, ზოგის შვილი. და რანაირი ცნობაც არ უნდა მოგვივიდეს, ჩვენ უსათუოდ მოვესწრებით მათ მოსვლას... საყვარელო ბიჭუკელებო, ჩვენ ხომ აუცილებლად მოვესწრებით მათ მოსვლას...

საწოლ ოთახში თითქოს კიდევ უფრო მეტი უკუნი ჩამოწვა. მაგრამ მაინც ვხედავდით, რომ ნიკოლაი პეტროვიჩს ჩატკეცილი ტუჩები მოუკუმავს და ზის მკაცრი სახით, ზის ისე, თითქოს შვილის სამარესთან იჯდეს. და ჩვენ არაფრით არ დაგვირღვევია ეს სამგლოვიარო სიჩუმე.

### პატიოსანი სიმართლე

საღამოთი საბავშვო სახლის საწოლ ოთახში ჩურჩული ისმოდა:

— ვოვკა, მამაშენი ხშირადა გწერს წერილებს?

— მწერს.

— რასა გწერს, ვოვკ?

— რას უნდა მწერდეს, დამელოდე,



ჩამოვალ და წამოგიყვანო. ისევ ერთად ვიქნებითო.

— კიდევ რასა გწერს?

— კიდევ... მწერს, ვიბრძვიო. დაიძინე, იურკა, გეყო.

— მე კი არაფერსა მწერს. პატიოსან სიმართლეს გეუბნები. აი როცა სარატოვში ვცხოვრობდით, ძალიან ვუყვარდი მამაჩემს. ყოველ დღე ნაყინი მოჰქონდა ხოლმე. მოვიდოდა სამუშაოდან და მეტყოდა: გამარჯობა, იურკა, დაუჩქარე გაზრდას, სანადიროდ უნდა წაგიყვანოო. არა გჯერა? პატიოსან სიტყვას გეუბნები!

— აკი ამბობდი, ვორონეჟში დავიბადეო.

— ვამბობდი. მერე კი სარატოვში ვცხოვრობდით.

— როგორ არა, დაგიჯერე... კარგი, [illegible]ო, დაიძინე.

— მძინავს... ვოვკა, ვოვკ... არა გჯერა, სარატოვში რომ ვცხოვრობდით? [illegible]ცი რას გეტყვი? არც არასოდეს გვიცხოვრია იქ. არც ვორონეჟში მიცხოვრია. არც არავითარი მამა არა მყავს. პატიოსან სიმართლეს გეუბნები.

— როგორ თუ არა გყავს? მაშ რა [illegible]ქნა?

— არცა მყოლია, ვოვკ. დედაჩემმა მითხრა, რომ ყველას ჰყავს მამა, მე კი არა მყავს. აი სულ არაფერნაირი მამა არა მყავს. მეც ავდექი და შევთხზე.

— ტყუოდი, ხომ?

— არა ვტყუოდი, ვოვკ. სიმართლით ვიგონებდი. პატიოსან სიმართლეს გეუბნები! აი გარიკამ რომ გვიამბო, ნაყინს მაჭმევდნენო, მეც წარმოვიდგინე, ვითომ მას კი არა, მე მაჭმევდნენ. სანადიროდ კიდევ ბორისის მამა დადიოდა. მეც ვიფიქრე, ვითომ მამაჩემი დადიოდა-მეთქი. ფრონტის ამბები კი შენგან მინდოდა შემეტყო. თორემ არ ვიცი, რას მწერდა მამაჩემი ფრონტიდან...

— ეს რა დიდი ამბავია! ფრონტიდან წერილის მოწერა... ხვალ გაჩუქებ მამაჩემის რამდენიმე წერილს. კარგი? — ვოვკამ ეს უთხრა და რაღაცნაირად ხმამაღლა აქშინდა. კაცი იფიქრებდა, მართლაც დაეძინაო.

თარგმანი ც. ჩხეიძისა

# ორგზის ოქროს მედლოსანი

რესპუბლიკის მეფუტკრეობის სამმართველოში კიროვის ოლქის სომოვის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობიდან ცნობა მოვიდა, რომ ივლისში დაიწყო თაფლის გამოხდა ქართული მთის რუხი ფუტკრის საფუტკრეში, რომელიც მათ წელს სპეციალურად მოაწყვეს. ფუტკარი აქ ღალიანობისთვის ჩამოიყვანეს. პირველი გამოხდის შედეგად 2 ათასი კილოგრამი თაფლი მიიღეს, ვარაუდობენ კიდევ 6 ათას კილოგრამს, ანუ ფუტკრის თითოეულ ოჯახზე 70 კილოგრამზე მეტს.

თაფლის უხვ მოსავალს იღებენ უკრაინაში, მოლდავეთში, ბელორუსიაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და სხვა მოძმე რესპუბლიკებში, სადაც კი ეს შესანიშნავი ფუტკარი მოაშენეს. ქართული ფუტკრის დიდ პროდუქტიულობას მოწმობს მრავალი წერილი, რომლებიც საზღვარგარეთიდან მოდის. იგი ხომ მსოფლიოს ორმოცზე მეტ ქვეყანაში გაიყვანეს მოსაშენებლად. ამიტომ არის, რომ ჩვენი და საზღვარგარეთის მეფუტკრეები დაჟინებით მოითხოვენ თავიანთ საფუტკრეებში ქართულ მთის რუხ ფუტკარს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამ ფუტკარზე ასობით მოთხოვნა მოდის. ამ ჯიშიანი, უხვთაფლიანი ოჯახის ათასობით წევრი „გადადის“ საქართველოს მეურნეობებიდან ახალ საცხოვრებელ ადგილებში — დედამიწის შუა სარტყელში, ევროპის, აზიის, ამერიკის მრავალ ქვეყანაში.

საქართველოდან გაზაფხულსა და ზაფხულში იგზავნება არაჩვეულებრივი ამანათები — ფანერის ყუთები, რომლებსაც გვერდებზე ხშირი ლითონის ბადე აქვს. ამ ყუთებს პაკეტებს უწოდებენ. ამანათებში ქართული ფუტკარია მოთავსებული. თითოეულ პაკეტში ერთი დედა და მუშა ფუტკრის მთელი ოჯახია. მუშა ფუტკარი გზაში დედა ფუტკარს უვლის, — წმენდს, ათბობს, კვებავს. საკვებად პაკეტში ფიჭიან თაფლს ათავსებენ. დედა ფუტკარს პატარა გალიებითაც გზავნიან. ახლახან შვეიცარიაში 50, ხოლო საფრანგეთში 100 დედა ფუტკარი გაიგზავნა. „ქართული პატარძლები“ გაიგზავნა აგრეთვე რუმინეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოში მეფუტკრეობა უძველესი დროიდან იყო განვითარებული. ამას მოწმობენ ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, ვახუშტი ბაგრატიონის, ფრანგ მოგზაურ ჟან შარდენის ნაწერები.

ქართული ფუტკარი დიდი პოპულარობით სარგებლობს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგალითად, ერთ-ერთი მსხვილი ამერიკელი ფერმერის პაურსის საფუტკრეში ფუტკრის უდიდესი ნაწილი ქართული მთის რუხი ფუტკრის ჯიშისაა და თითოეული ოჯახიდან 130-140 კილოგრამ თაფლსა და ცვილს იღებენ.

ქართული რუხი ფუტკარი, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩევა გრძელი ხორთუმით, რომლის სიგრძე საშუალოდ 7,1 მილიმეტრამდე აღწევს, სხვა ჯიშის ფუტკრის ხორთუმის სიგრძე კი 6,7 მილიმეტრს არ აღემატება. ეს საშუალებას აძლევს ქართულ ფუტკარს ღალა ისეთ ყვავილებზე აიღოს, რომლებსაც ნექტარი ღრმადა აქვთ, რაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ჯვარედინ დამტვერვას, ქართული ფუტკარი არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე და გამძლეა, ადვილად იტანს სიცივეს, სამუშაოდ სხვა ჯიშის ფუტკართან შედარებით ადრე გამოდის, თაფლის დამზადებას არ წყვეტს წვიმიან ამინდშიც კი. ამავე დროს იგი მეტად მშვიდი ხასიათისაა, სკაში მეგობრულად ცხოვრობენ და საფუტკრეში მუშაობა პირბადის გარეშეც შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მთის რუხი ფუტკრის საერთაშორისო აღიარებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გერმანიის ქალაქ ერფურტის საერთაშორისო გამოფენაზე ქართულმა მთის რუხმა ფუტკარმა ოქროს მედალი დაიმსახურა. დიდი ოქროს მედალი მოიპოვა მან რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში მეფუტკრეთა XX საერთაშორისო საიუბილეო კონგრესზეც. დღეს მის სახელს შეიძლება სავსებით დამსახურებულად დაემატოს ორგზის ოქროს მედალოსანი.

**დავით ბიწაძე**



# იუმორისტული მინიატურები

## სარეკომენდაციო წერილი

პატივცემულმა კირილემ ის კაცი რომ დაინახა, კინაღამ გულზე შემოეყარა, მაგრამ ერთხელ კიდევ მოიკრიბა სიდარბაისლე და ზრდილობიანად გამოეგება შუა კაბინეტში.

— ვწუხვარ, რომ გაწუხებთ, გამგები კაცი ხართ და გამიგებთ, უკვე მერამდენედ მოვედი. — გაზეპირებული ლექსივით დაიწყო მართლაც მერამდენედ მოსულმა... — შეგახსენებთ, მე ის კაცი ვარ, იმან რომ იმის მეშვეობით, იმის შესახებ... იმასთან...

— მახსოვს, მახსოვს, — აიდოსტივით ჩამოართვა სიტყვა პატივცემულმა კირილემ, — მაგრამ ან მე რა შემიძლია, ან იმას?

— თქვენ წერა შეგიძლიათ, იმას — კითხვა!.. მე მეტს არაფერს არ გთხოვთ, პატარა სარეკომენდაციო წერილი მიმიწერეთ, სულ პატარა, თუნდაც ორი სიტყვა. ძლივს დაგიჭირეთ და ახლა აქედან ფეხისმომცვლელი არ ვარ, — გაიფიჩინა ფეხი, — რაც გინდათ ის მისწერეთ, უწერილოდ აქედან ცოცხალს ვერ გამიტანთ.

პატივცემულმა კირილემ ათასჯერ დაწყევლა იმ კაცის და ამ კაცის გაცნობის დღე... გუნებაში. „ამ ხალხმა ჭკუა ვერ ისწავლაო“, — თქვა ესეც... გუნებაში და გუნება გაუფუჭდა. ის კაცი მაშინ მიხვდა რა უტრიალებდა გუნებაში კირილეს.

—...სულ პატარა წერილი, ისე არ წავალ!..

— არ მიცნობთ, არ გიცნობთ, რა მივწერო?—თხოვა დახმარება მთხოვნელს.

— რაც გინდათ, როგორც გინდათ, — ძმასავით ამოუდგა მხარში მათხოვარი.

კირილე საწერ მაგიდას მიუჯდა, პატარა, სულ პატარა წერილი მისწერა იმ კაცს და ამ კაცს გაატანა.

იმ კაცმა გახსნა კონვერტი და წერილი წაიკითხა: „ეს კაცი არის... ამ ბარათის მომტანი“. მეტი არაფერი. ჯერ წერილს დახედა, მერე ამ კაცს ახედა, მერე ისევ წერილს, მერე ისევ ამ კაცს.

— რა გნებავთ?

— სანამ პასუხს არ გამატანთ, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ. — აქაც გააფიჩინა ფეხი ამ კაცმა.

— ინებეთ!.. — მშვიდად უთხრა იმ კაცმა და იმ კაცთან საპასუხო წერილი გაატანა.

კირილემ ფრთხილად გახსნა ბარათი.

„ამ ბარათის მომტანი არის იმ ბარათის მომტანი“, იყო გარკვეული პასუხი.



## დიალოგი

— რა გინდა ამ აგვისტოში თბილისში, იწვის აქაურობა!

— პროტექტორებს დავეძებ.

— ხომ არ გადაირიე, ბავშვისთვის?

— არა, კაცო, ძველი საბურავებისთვის, სულ გაცვდა, პროტექტორები უნდა გადავაკვრევინო.

თედო ბექიშვილი

# ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მამულო, სიცოცხლეო"...

სიცოცხლე მხოლოდ შენი მადლია,
სიმღერა გულის — შენ გეფერება.
შენთვის ვინატრე — რაც მინატრია,
მეყოფა შენი ბედნიერება!

დღე დღევანდელი შენ მოგენდობა,
შენით ვაპირებ ხვალაც გაძლებას.
თუ რამეს შეგთხოვ,
შეგთხოვ შენდობას,
ხოლო წყალობას — უფრო ნაკლებად.

მე რა მჭირდება?
ხმელი ლოგინი,
რომელზეც უფრო მალე თენდება.
რომ დილა მთებზე გადმომხობილი
მიესალბუნოს მზერას ედემად.

მე რა მჭირდება?
ნატეხი პურის,
სოველი დოქი — ესეც ბევრია.
ავდგე, ჩიტუნებს მივუგდო ყური,
შენს გარიჟრაჟებს რომ უმღერიან...

სხვა არაფერი... სხვა დანარჩენი
ნატვრად არა ღირს, წარმავალია.
ერთი ვალი მაქვს გადასახდელი,
ო, ვალი იგი, წმინდა ვალია!

## ახალგაზრდობას

ო, არა სიტყვამ, საქმემან შენმან,
საქმემან შენმან გყოს სახიერად;
შენმა ქართულმა ჯიშმა და გენმა,
შენმა მამულის ტრფობამ ძლიერმა.

მიაყურადე წარსულის ოხვრას,
დაუდუმებელ მოთქმას და კვნესას.
ჩვენც მიტომ გვერგო ამ სოფლად მოსვლა,
რომ ვიყოთ ქვეყნის მეზვრედ და
მწყემსად.

მიაყურადე ამ დღეთა ზარებს,
ხმამაღლა ძახილს, ძახილს და რეკვას:
ჩვენ არა მხოლოდ უბრალო მგზავრი,
უნდა ამ დღეთა პატრონი გვერქვას.

ამ უფლის კალთით მოზომილ მთა-ბარს
უნდა დავუდგეთ მეველედ, მცველად,
ჩვენი გონებით, ნიჭით და სწრაფვით,
აქ უნდა ვიდგეთ უკლებლივ ყველა!

და მოტკაცუნე მომავლის აფრებს,
ლილისფერ ქარში გაშლილებს ლაღად...
გავყვებით... დღეთა სურვილი მძაფრი,
ცხოვრებას ჩვენსას იმედით დაღავს...

ო, არა, სიტყვამ, საქმემან შენმან,
საქმემან შენმან გყოს სახიერად;
შენმა ქართულმა ჯიშმა და გენმა,
შენმა მამულის ტრფობამ ძლიერმა!

* * *

არ შეიძლება იყოს სულ ერთი
რას ვამბობთ,
ან რა გვრჩება უთქმელი —
მოღებულია კარი სულეთის,
კედლიდან მიმზერს დიდი რუსთველი.

არ შეიძლება სულ ერთი იყოს,
ის რაც შეგვეძლო და შევიძელით;
მითვალიერებს თითეულ სტრიქონს
ილიას მზერა მშვიდი, ფხიზელი.

არ შეიძლება იყოს სულ ერთი,
სად დაიკვლება ჩემი კვრატი —
კედლიდან მიმზერს ვაჟას სურათი,
აბჯარასხმული ვაჟას სურათი...

არ შეიძლება იყოს სულ ერთი,
ვისია მთები მწვანედ ნაქარგი?
სხვაგან სიცოცხლეს რად ვისურვებდი,
ზეცას აქ საფლავს სთხოვდა აკაკი!

„წინაპართაგან წავიდა ყველა",
მაგრამ მათ მიჯანს ვით ავშორდებით?
კვლავაც მძლავრია ფესვი მამულის
და მზეს უმზერენ ნედლი ყლორტები!

## ზაფხულის მიჯნა

მიწყდა, მინავლდა მხურვალე ალი,
მთრთოლვარე ვნება და ჟრუანტელი.
თანდათანობით ეჩვევა თვალი —
როგორ მშორდება შენი ნათელი.

უკვე მინდვრებში ფერები ჩახმა,
ფერები ღელვის და წყალდიდობის.
სვენებ-სვენებით ჩავდივარ დაღმა
და გულში უხმოდ ვამბობ: მშვიდობით!

მშვიდობით, ჭრელა-ჭრულა ველებო,
აღარვინ ამ გზებს არ მიმასწავლის.
რა სიყვარულით,
რა მზრუნველობით
გამომაქოლეთ ზამთრის საგზალი!

ჩავდივარ დაღმა. დაუხარჯველი
მზე მიმიძღვება, მზეა მეგზური
და თან მიმყვება, ვით განაჩენი,
ათასი თხოვნა და საყვედური...

## კაცი თუ გყავს

— კაცი თუ არ გყავს, ხომ იცი, არ ვარგიხარ კაცად!

— კაცი თუ ხარ, სხვა კაცი რაღად გინდა, შე კაცო?!

— მოკლედ, ეს ნაცრიხარი კაცი უნდა მიიღო, თუ კაცი ხარ და საწყობი უნდა ჩააბარო.

— მერე, მე რომელს ვუყარაულო — მაგ კაცს თუ საწყობს?




— მისაღები გამოცდებისთვის ემზადება.

— ?!

— სანამ ნამდვილი რევოლვერით დამადგებიან თავზე, ისეთი სირბილი უნდა ვისწავლო, რომ ვერც ერთი პროტექტორი ვერ დამეწიოსო.





## სტარტზე

— ეს ჩვენი პროფესორი არაა, სტარტზე მესამე რომ დგას? — მიუბრუნდა მეზობელს ერთი მაყურებელი.

— ჩვენი პროფესორია.

— ის ვილაა, სასტარტო პისტოლეტით რომ ადგას თავზე?

— მისი მწვრთნელია.

— რა უნდა, კაცო, აქ?

## ძველი საშტატო ერთეული

ასეთი ერთეულები ერთეული როდი იყვნენ...



— განათლება გაქვთ? — ეკითხებიან ასეთ ერთეულს.

— არა.

— ხელობა?

— არა.

— ადრე გიმუშავიათ?

— როგორ არა!

— რა თანამდებობაზე?

— მლიქვნელად!

გიზო ნიშნიანიძე

# ხალხიდან სცენაზე

გზაზე მიდის მაღალი, ხმელხმელი, ჭარმაგი კაცი. მხარზე გაუდვია კირითხუროს გრძელი თარაზო, ზედ მომცრო ჭრელი ხელხურჯინი გადაუკიდია. ხურჯინის ერთი თვალიდან თავი ამოუყვია ხმარებისაგან სარკესავით გაპრიალებულ ქაფჩის პირს, მეორეში ფეშტამალი უდევს. მძიმედ მიაბიჯებს, ყველა ნაცნობს ულიმის... ენაკვიმატია, ჩაუშაირებს, გუნებაზეც რომ არ იყოს კაცი, გააცინებს და საუბრის ეშხზე მოიყვანს.

წიფლისხევთან ოთხმოც წელს გადაცილებული როკიაანთ ალექსა აემგზავრა; ილლიაში ბარი ამოუჩრია და ვენახიდან ბრუნდება მაშვრალი.

— ბიჭო, რა მძიმედ ირჯები, დაბერდი თუ მაგ ქაფჩა-თარაზომ დაგამძიმა? შეეშვი, რალა დროს შენი ხარაჩოზე დგომაა? მუხლმა არ გიმტყუნოს... პენსია კარგი გაქვს, ბიჭებიც მხარში გიდგანან, გულის გადასაყოლებლად კი სცენაც გეყოფა.

— რა ვქნა, ალექსი, ორმოცდაცამეტი წელიწადია ქაფჩას ვატრიალებ და, ვერ ველევი... იმ მარჯვენადალოცვილმა კალატოზმა სამუდამოდ შემაყვარა ეს ხელობა. ოქროს ხელი ჰქონდა დალოცვილს... ნამდვილი არტისტი იყო...

— არტისტი იყო და აკი შაგირდმაც გაუტია „ხატიკაკლებისკენ!" — ირიბად ახედა თანამგზავრს ალექსიმ და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— ეგრე მოხდა და რას იზამ; ბალღობაში აყოლილი ინტერესი აქამდე მომყვა. თავმომწონე ბიჭი ვიყავი და მეამაყებოდა: კალატოზი კაცი ალიარებულ მსახიობებთან ერთად სცენაზე ვთამაშობდი. ისეთი ხალხის გვერდით მითამაშნია, საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე ამ ასი წლის წინათ პირველ სპექტაკლებში რომ მონაწილეობდნენ. გულისაანთ ერემია მასწავლებელი ხომ გახსოვს! ოთხმოცდაათ წელს მიტანებული იყო, მაგრამ რეპეტიციებზე ჭეელი ბიჭივით პირველი მოდიოდა ხოლმე. ახლა ლიზა ვაშაკიძე, ლევან ჩერქეზიშვილი, ივანე მჭედლიშვილი, დარია მაისურაძე, იაკობ ანუაშვილი, საშა ბურთიკაშვილი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, სამუდამოდ მივეჯაჭვე სცენას. ვიყავი სცენის მუშა, დეკორატორი, გამნათებელი, თან ვთამაშობდი. დღისით ხარაჩოზე ვიდექი ან კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, საღამოს კი სცენას მივაშურებდი. აი, დავბერდი და უსცენოდ ვერა ვძლებ. როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, რეპეტიციაც რომ არ გვქონდეს, ყოველ საღამოს გული სცენისკენ მიმიწევს. დედაკაცმა ტელევიზორი მაყიდინა, იქნებ შინ დაებასო, მაგრამ შენც არ მომიკვდე...

* * *

აგერ ნახევარი საუკუნე სრულდება, რაც გიორგიწმინდელმა კალატოზმა გიგა დოლენჯაშვილმა საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენას დაუკავშირა თავისი ბედი. ათიოდე წლის ბიჭუნა წვრილშვილმა მამამ მიკიტანს მიაბარა. მთელ დღეს დუქანში ალამებდა გიგა — ჭურჭელს რეცხავდა, შეშას აპობდა. საღამო ხანს, როცა პატრონი თავის მეგობარ მსახიობებთან კალათით ვახშამს გაატანდა, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქებდა. ცნობისმოყვარე ბიჭუნა სადმე კუთხეში მიჯდებოდა და ინტერესით უსმენდა მსახიობთა დარბაისლურ საუბარს. რეპეტიციებზე დასწრება უყვარდა. სულ იმ კეთილ, განათლებულ ადამიანებთან ყოფნა ეწადა. სამიკიტნოზე გული აიყარა. სწორედ იმ დროს ქიზიყიდან კალატოზი შაქრო ალიკაშვილი ჩამოესიძა სოფელში. მამამაც სამი უფროსი ბიჭი მას მიაბარა — ხელობა ასწავლე, ახალი ქვეყანა შენდება, ხალხი გამრავლდება და სახლებიც დასჭირდებათო.

გიგა მუყაითი შეგირდი გამოდგა. მოძებნიდა უჯიათ ქვას, ატრიალებდა, გვერდს უცვლიდა, იქამდე აწვალებდა, სანამ ადგილზე შნოიანად არ მოარგებდა. სახლის კედლებს შიგნიდან ისე მოაბათქაშებდა, გაჯით გალესვა აღარც სჭირდებოდა. გარედან კი პატრონი არ ანებებდა — ქვები ისეა მორგებული, დაწნული გეგონება, აფსუსია მაგისი დამალვაო.

როცა ოქტომბერმა ქართველ ხალხსაც მოუტანა ბედნიერება, ოსტატმა ნაშეგირდალებს გზა დაულოცა. გიგამ მხარზე გაიდო ოსტატის ნაჩუქარი თარაზო, ზედ გულისსწორის მიერ მოქსოვილი ჭრელი ხურჯინი გადაჰკიდა, შიგ იარაღი და ფეშტამალი ჩააწყო და ცხოვრების მძიმე და გრძელ გზას დაადგა...

ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე გარეკახეთის რომელ სოფელში არ შეუტანია ახალსახლობის სიხარული, ვინ მოსთვლის რამდენი ოჯახისთვის დაულოცნია ფუძე და ჭერი. აშენებდა და ლესავდა, კოლმეურნეობაშიც ტოლს არავის უდებდა, მაგრამ არც სცენისთვის უღალატნია. ყოველ საღამოს ბეჯით მოწაფესავით ილლიაში „როლამოჩრილი" მიეშურებოდა კულტურის სახლისკენ. გადიოდა დრო... გიგა დოლენჯაშვილის თვალწინ გაიარა საგარეჯოს სახალხო თეატრის საუკუნოვანი ისტორიის ნახევარმა. გიგა სიყვარულით იხსენებს ხოლმე მის პირველ ამაგდარს, თეატრის გამგეობის მაშინდელ თავმჯდომარეს ინჟინერსა და პედაგოგს ლეონტი გულისაშვილს, რომელმაც სცენის სიყვარულით „დაავადებული" ჭაბუკი ჯერ მასობრივ სცენებში გამოიყვანა და მერე დასშიც ჩარიცხა.

გიგას განსაკუთრებით სახასიათო როლები მოსწონდა, აქ იყო მისი ასპარეზი, მაყურებელსაც ხალხური იუმორით დაჯილდოებული ენამახვილი მსახიობი უყვარდა. რამდენ სცენისმოყვარეს გაუკაფა გზა კულტსახლისაკენ თვითონ გიგამ! ზოგს შექებით, ზოგს ოხუნჯობით, ზოგსაც პირადი მაგალითით.

დღეს სამი შვილის მამა და რვა შვილიშვილის პაპაა სამოცდაათი წლის გიგა დოლენჯაშვილი. ოჯახის პატრონს საზრუნავი ბევრი აქვს, მაგრამ მის ცხოვრებაში თეატრი მაინც უმთავრესია.

გარეჯელ სცენისმოყვარეებს დიდი სამზადისი აქვთ. სულ მალე ახალაგებულ კულტურის სახლში სახალხო თეატრი საუკუნოვან იუბილეს იზეიმებს, ამასთან ერთად თეატრი აღნიშნავს თავიანთი უბერებელი მეგობრის, სცენის უანგარო მუშაკის, ღირსეული მამულიშვილის გიგა დოლენჯაშვილის სასცენო მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავს. გიგა სიხარულით მოელის ამ დღეს.

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ქვეყნის ჟურნალის ფურცლებიდან

ერთხელ ედისონს სადილი გაუმართეს. სადილის დროს სთხოვეს, გეთაყვა, გვიამბე, როგორ დაიწყე შენი მოღვაწეობაო.

— ძლიერ ღარიბი, ბოგანო ვიყავ. ერთხელ ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი, — დაიწყო ედისონმა, — საშინლად მშიოდა, ჯიბეში კი თაგვები ნავარდობდნენ... ერთ სახლთან კარეტა გაჩერდა. კარეტიდან გადმოვიდა მთელ ქალაქში ცნობილი მდიდარი კაცი და მისივე ახალგაზრდა მშვენიერი ქალი, ვნახე და კინაღამ გავგიჟდი — გადავწყვიტე, ეს ქალი ჩემი უნდა გახდეს-მეთქი. მეორე დღეს მივედ მილიონების პატრონთან და ვთხოვე — შენი ქალი მომათხოვე-მეთქი. მერე თქვენ ვინა ხართო? — მკითხა მდიდარმა. სხვადასხვა ახალ მანქანების გამომგონებელი გახლავართ, თუ გნებავთ ელექტრონის ისეთ მანქანას მოგიტანთ, რომ ქურდი ვერ მიეკაროს თქვენს სალაროს.

გაეხარდა. დიდად დამავალებთო, — მითხრა, ცოტა ხნის შემდეგ დაპირებული მანქანა მივუტანე და იმანაც პირობა შეასრულა. ქალი მომათხოვა. ცოლის მილიონებით ვისარგებლე და მრავალი მანქანა გამოვიგონე და გავაკეთე.

— ვაშა! ვაშა! — დაიძახეს ედისონის პატივისმცემლებმა. ერთი ეს გვიბრძანეთ: ბევრი რამ გამოგიგონიათ?

— ძლიერ ბევრი, — უპასუხა შეზარხოშებულმა ედისონმა, — ეს ამბავი კი ახლა გამოვიგონე.

* * *

ერთ ვაჟბატონს 2 საათზე ბაკლა უჭამია სადილად, 5 საათზე დაუძინია, ძილში „კონვერსიების" საქმე ზედმიწევნით შეუსწავლია, ნახევარ საათის შემდეგ გამოღვიძებია და მოკლეფრთიანი „გასაფრენი შენიშვნები" დაუწერია. გამოიცანით: რომელ სამეცნიერო საგანს შეისწავლის სიზმარში ეს ვაჟბატონი, სადილად რომ ბაკლას მაგიერ დანივრული არტალა მიირთვას და რიგიანადაც გამოიძინოს?

* * *

წარმოიდგინე! სრული წელიწადია, რაც მხიარულაძემ ჯვარი დაიწერა და ცოლ-ქმარს ჯერ ერთხელაც არ უჩხუბნიათ!

— დიდი ამბავი მომხდარა! მე ისეთ ცოლ-ქმარს ვიცნობ, 30 წელიწადია რაც ჯვარდაწერილები არიან და ერთმანეთისათვის ჯერ ერთი ცუდი სიტყვაც კი არ უთქვამთ.

— რას ამბობ? მართალია? მერე ვინ არიან ეგ ბედნიერი ცოლ-ქმარი?

— ვინა? ჩვენი მეზობლები. ქმარიც მუნჯია და ცოლიც.

* * *

— უკაცრავად, თქვენი გვარი ხომ ტალახაშვილია, რად ამბობთ ხოლმე, გორგასლანიძე ვარო?

— მართალია, გვარად ტალახაშვილი გახლავართ, მაგრამ ეგ ჩემი ფსევდონიმია.

— როგორ? დაგიბეჭდიათ რამე მაგ ფსევდონიმით? მე არსად არ შემხვედრია?!

— დიახ, ხუთასი ცალი „ვიზიტნი კარტოჩკა" დავაბეჭდინე.

* * *

— პეტრე, ელევატორი რა არის?

— ელევატორი?

— ჰო, ელევატორი!

— ელევატორი... როგორ გითხრა... ეს... ეს.., რომ უფრო კარგად შეიგნო...

— ჯერ ერთი ეს მითხარი, შენ თითონ კი იცი რა არის ელევატორი?

— ვინ იცის, რას ამბობ, როგორ არ მეცოდინება, როდესაც ყველა სულელმაც კი იცის!..

— ჰო, მაშ თუ აგრეა, გმადლობ, მეტი საჭირო აღარ არის.

# ჯანსუღ კახიძე









უჩვეულო კულმინაციით დაიწყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის გასული სეზონი. მასზე ბევრი სანაქებო ითქვა და დაიწერა. მოლოდინს გადააჭარბა სეზონის პირველმა საკონცერტო საღამომ. სიმფონიური ორკესტრის შემოქმედება ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ყურადღების ცენტრში დადგა. ალაპარაკდა ხალხი. კონცერტს კონცერტი მისდევდა და სიმფონიური ორკესტრის ცხოვრებაში ღრმავდებოდა პროფესიული პასუხისმგებლობა, ინერგებოდა რთული და მრავალფეროვანი პროგრამების დაძლევის ტრადიცია.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს სათავეში ჩაუდგა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დირიჟორი ჯანსუღ კახიძე და ის გახდა გასული მუსიკალური სეზონის ნამდვილი აღმოჩენა. ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში მის მიერ შემოტანილ სიახლეთა შორის უპირველეს ყოვლისა ის არის აღსანიშნავი, რომ ჯ. კახიძემ კვლავ აამაღლა ქართული სადირიჟორო ხელოვნების ავტორიტეტი და ქართველ საზოგადოებას დაუბრუნა სიმფონიურ კონცერტებზე დასწრების სურვილი, ინტერესი და სიყვარული.

ჩვენი სიმფონიური ორკესტრის ისტორიას არ ახსოვს, რომ ერთი სეზონის განმავლობაში ესოდენ უხვად შესრულებულიყოს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მთავარი დირიჟორი და მისი ორკესტრი ახალ-ახალი ეროვნული სიმფონიური ნაწარმოებების დაბადების სტიმულად მოგვევლინა. ქართველმა კომპოზიტორებმა პირველსავე კონცერტზე იგრძნეს, რომ ჯანსუღ კახიძის სახით მათ გამოუჩნდათ ნანატრი დირიჟორი, ქართული მუსიკის დიდი გამგები, გულშემატკივარი და საუკეთესო შემსრულებელი.

რამ გამოიწვია ჯანსუღ კახიძის ტალანტისადმი ესოდენ დიდი ყურადღება და მისი ავტორიტეტის აღიარება? რა თქმა უნდა, შემოქმედებითმა მოწიფულობამ, რომელიც დაეტყო მის ხელოვნებას. პოლონეთში ნაყოფიერმა მუშაობამ, პროფესიულმა გამოცდილებამ და საშემსრულებლო კულტურის სიმაღლეების დაპყრობამ კიდევ უფრო მეტად დახვეწა და ელვარება მისცა მის სადირიჟორო ხელწერას, ნიჭს, ტემპერამენტს, ენერგიასა და შრომისმოყვარეობას.

ვინც ჯანსუღ კახიძეს იცნობს, დამეთანხმება, რომ მას მიესადაგება ცნობილი ნათქვამი — დირიჟორები არ იზრდებიან, ისინი იბადებიანო, ჯანსუღი მართლაც დირიჟორად დაიბადა. მაგრამ ალბათ, იგივეს ვიტყოდით, მას რომ საკომპოზიციო და საშემსრულებლო ხელოვნებისათვის დროული და სათანადო ყურადღება მიექცია. სადირიჟორო მონაცემების პარალელურად მასში დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს კომპოზიტორი და შემსრულებელი — ვოკალისტი. მისი სიმღერები კინოფილმებისათვის თუ საესტრადო კოლექტივებისათვის, მისი სიმღერის თავისებური მანერა განსაკუთრებულ კოლორიტულ ელფერს აძლევს მუსიკოსის ცხოვრებას. ჯ. კახიძემ ქართულ ხალხურ სიმღერას გზა გაუხსნა ესტრადისაკენ და ამით ქართულ ესტრადას ახალი ეროვნული სახე მოუპოვა, გაათავისუფლა ის უცხოური მუსიკის სტანდარტისაგან.

ჯანსუღ კახიძე, მართლაც, მუსიკოსად დაიბადა. ბავშვობიდანვე ეზიარა ქართული ხალხური სიმღერების უმდიდრეს და იშვიათ საგანძურს. ოჯახური მუსიკალური გარემო მისი ნიჭის განვითარების და წრთობის იშვიათ სკოლად იქცა.

ჯ. კახიძის შემოქმედებითი გზის პირველი კულმინაცია იყო მისი ინიციატივით ჩამოყალიბებული ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა", რომელიც ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი გახდა. ეს იყო მომავალი დირიჟორის პირველი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი სტარტი, რითაც მან ქართული ხალხური სიმღერის შესრულების ახალი ტრადიცია დანერგა.

კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი საქართველოს სახელმწიფო კაპელის მთავარ დირიჟორად დაინიშნა. პასუხისმგებლობას, უჩვეულო შემოქმედებით სირთულეებთან ჭიდილს თან მოჰქონდა დიდი გამოცდილება, პროფესიული ზრდა და წარმატება, რაც შესამჩნევი გახდა მოსკოვში ქართული ხელოვნების მეორე დეკადაზე. ჯ. კახიძე ამ დეკადაზე წარსდგა, როგორც ორი მხატვრული კოლექტივის „შვიდკაცას" და კაპელის ხელმძღვანელი.

შემდეგ ასპირანტურის კურსი დირიჟორ ო. დიმიტრიადის ხელმძღვანელობით, მოსკოვში სემინარები სახელოვან ფრანგ დირიჟორთან ი. მარკევიჩთან და კვლავ უჩვეულო ტრამპლინი — ჯ. კახიძე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორი და მხატვრული ხელმძღვანელი ხდება. რთული, საპასუხისმგებლო და მძიმე საქმე იტვირთა ახალგაზრდა მუსიკოსმა, მაგრამ დაუღალავ შრომას სასიხარულო შედეგებიც მოჰქონდა. ოპერის თეატრში მისი მოღვაწეობის საუკეთესო ნიშნები გამოჩნდა ისეთ სპექტაკლებში, როგორიც იყო „დონ-პასკუალე", „ბორის გოდუნოვი", „დონ-ჟუანი" და „აბესალომ და ეთერი".

1971 წელს ჯ. კახიძე ერთი წლით მიიწვიეს პოლონეთში ქალაქ ლოძის ოპერის თეატრში. ამ ქალაქისა და თეატრის მუსიკალურ ცხოვრებაში მან შესამჩნევი კვალი დატოვა. პოლონელებისათვის დაუვიწყარ ზეიმად იქცა ჯ. კახიძის მიერ წარმატებით შესრულებული ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", ქართველი დირიჟორისადმი მადლიერების გრძნობითაა აღვსილი პოლონური რეცენზიები, რომლითაც ხალხი ეხმაურებოდა ჯ. კახიძის ყოველ პრემიერას და რიგით კონცერტს. „აბესალომი", როგორც სანიმუშო სპექტაკლი პოლონელებმა თავისი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც გაიტანეს.

მაგრამ პოლონეთში ჯ. კახიძე მარტოოდენ ოპერის თეატრის ინტერესებით არ ცხოვრობდა. საქართველოსა და პოლონეთის კულტურულ ურთიერთობას ის მთელი გატაცებით კიდევ იმით განამტკიცებდა, რომ უხვად ასრულებდა თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, „პოლონეთის პერიოდი" მან თანამედროვე ქართული მუსიკის პოპულარიზაციის სარბიელადაც აქცია.

ჯ. კახიძე მუსიკოსად დაიბადა და ნებისმიერ სარბიელზე ის თავის სათქმელს იტყვის.

ნანა ქავთარაძე

# მოგზაურის კალეიდოსკოპი

## ლერწმის კუნძულთა ხალხი

სამხრეთ ამერიკაში, ბოლივია-პერუს საზღვარზე 3 812 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან არის ტბა ტიტიკაკა, მისი ფართობი 8 340 კვადრატული კილომეტრია. ტიტიკაკას ტბის კუნძულებზე დღემდე ცხოვრობს საიდუმლოებით მოცული ინდიელთა ტომი ურუ.

ვინ არიან ურუელები, რომლებიც შუაგულ ტბაში ლერწმის ქოხებში ცხოვრობენ და ათასეული წლების მანძილზე მათი ყოფა არ შეცვლილა? ამ ტომის ენა განსაკუთრებულია, იგი ამერიკის არც ერთ ინდიელთა ტომს არ ესმის. ურუელებს არა აქვთ საკუთარი სახელები და, საერთოდ, არ გააჩნიათ გეოგრაფიული სახელწოდებები. ეთნოგრაფთა აზრით, ურუს ტომი ანდის მთებიდან გადმოსახლდა ტიტიკაკას ტბაზე, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

ამ ტომის რაოდენობა დღეისათვის ათას კაცს არ აღემატება. პრაქტიკულად კი ურუს ტომი თითქმის აღარ არსებობს: ისინი თანდათან შეერივნენ ინდიელთა ტომებს.

ურუს ტომის დევიზია — „ყველა ურუ ტოტორის კუნძულებზე ცხოვრობს". (ტოტორი ლერწამია). ისინი იშვიათად გადმოდიან ნაპირზე. მეზობელ აიმარას ინდიელები თვითონ მიდიან მათთან ნავებით და კარტოფილს ცვლიან თევზზე.

ურუს ინდიელთა საცხოვრებელი ბინები და ნავები მხოლოდ ლერწმისაგან მზადდება.

ტბის თითქმის ასეთივე ბინადარია ცენტრალურ აფრიკის ტომი კოტოკო. ისინი მთელ ცხოვრებას წყალზე ატარებენ და ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ. კოტოკოს ტომის არსებობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ბალახოვანი მცენარე პაპირუსი.

საჰარის სამხრეთით მდებარე ჩადის ტბა პაპირუსის ნამდვილი სამეფოა. ქარისა და ძლიერი დინების გამო სანაპიროს ხშირად წყდება მიწის მონაკვეთები, რომლებიც კუნძულად იქცევა და ქარი დააქროლებს ტბაზე. ასეთ მიწის რამდენიმე მონაკვეთს აერთიანებს და მაგრად იჭერს ერთმანეთში გადახლართული მცენარეების ფესვები. სწორედ პაპირუსის ასეთ კუნძულებზე ცხოვრობს კოტოკოს ტომი. პაპირუსისაგან დაწნული ფარდაგი მათთვის წარმოადგენს იატაკს, საწოლებს პაპირუსის დიდი ღეროებისაგან ამზადებენ, პაპირუსისაგან აშენებენ აგრეთვე ქოხებს, ამზადებენ ნავებს. პაპირუსი არის საწვავი თუ თევზის გასაშრობი ლასტი.

კოტოკოები, ასე ვთქვათ, „წყლის მესაქონლეები" არიან. ტბაში კუნძულების სახით დაცურავს უამრავი ბუნებრივი საძოვრები, რომლებთანაც ნავებით მიდიან, ხოლო კამეჩები ცურვით აღწევენ ამ საძოვრებს.

მეტად საინტერესოა ამ ტომის რიტუალები. კოტოკოს უხუცესი მბრძანებელია ბელადი, ის არის აგრეთვე მთავარი ქურუმი, მსაჯული, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრიც. მიუხედავად ამისა, ბელადი მაინც არ წარმოადგენს აბსოლუტურ დიქტატორს. საკმარისია ბელადმა, თუნდაც შემთხვევით, დაარღვიოს ტრადიციული ეტიკეტი და მის ძალაუფლებას მაშინვე ბოლო მოეღება. რომელიმე საპატიო მოხუცი გათენებისას მიდის ბელადთან, მის წინ მიწაზე დებს პაპირუსისაგან დამზადებულ ფეხსაცმელს და ხმამაღლა წარმოსთქვამს: „ხალხი შენით უკმაყოფილოა!" აი, ასე უსისხლოდ ხდება გადატრიალება სასახლეში. ირჩევენ ახალ მბრძანებელს, ძველი ბელადი უერთდება თავის თანამემამულეებს და მათთან ერთად იწყებს ჩვეულებრივ ცხოვრებას.

# რა არ ხდება

## ღვინო ზღვაში

ამას წინათ ესპანეთის ნავსადგურის ალიკანტეს მახლობლად პანამისაკენ მიმავალი თბომავალი „დონ ხოზე" მეჩეჩზე დაჯდა. მეჩეჩიდან თავის დასაღწევად აუცილებელი იყო თბომავალის შემსუბუქება. გემის განტვირთვის მიზნით ეკიპაჟი იძულებული გახდა ზღვაში გადაეღვარა 40 ათასი ლიტრი წითელი ღვინო.

ესპანეთის სანაპიროსთან ზღვის დიდი ნაწილი წითლად შეიღება. ადგილობრივი მოსახლეობა ორი დღის განმავლობაში ხაპებით იჭერდა ზღვის ზედაპირზე მოხტუნავე მთვრალ თევზებს.

თავთხელიდან განთავისუფლებული „დონ ხოზე" ესპანეთის ნავსადგურში დაბრუნდა.

## უჩვეულო გართობა

ამას წინათ ინდოეთში, დასავლეთ ბენგალიის შტატის ერთ-ერთ სოფელს ველური სპილოების ჯოგი შეესია. უჩვეულოდ აღგზნებულმა სპილოებმა დიდი ზარალი მიაყენეს სოფელს: დაანგრიეს საცხოვრებელი სახლები, დალეწეს სხვადასხვა ნაგებობები, გადათელეს პლანტაციები და ბოსტნები. არის მსხვერპლიც.

როგორც შემდეგ გამოირკვა, სპილოები თურმე მთვრალები იყვნენ. ადგილობრივი ხელისუფლები იუწყებიან, რომ 150-ზე მეტი ველური სპილო შემთხვევით წააწყდა სპირტიანი სასმელების საიდუმლო მიწისქვეშა საცავს.







## 25 წლის შემდეგ

შვეციის მთავრობამ გადაწყვიტა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს თამბაქოს. საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია 25 წლის შემდეგ „შვეცია თუთუნის არამწეველთა ქვეყნად გადაიქცეს".

შვეციაში მიმდინარე წლიდან მოყოლებული პაპიროსის ფასი ყოველწლიურად 10 პროცენტით გაიზრდება.

სასტიკად აიკრძალება თუთუნის ყოველგვარი რეკლამა.

1975 წლიდან მთლიანად შეწყდება პაპიროსების გაყიდვა ავტომატებიდან.

1981 წლიდან ის პირი, რომელიც არასრულწლოვანს მიჰყიდის პაპიროსს— სასამართლოს გადაეცემა დასასჯელად.

25 წლის შემდეგ შვეციაში ახალ თაობას არავითარი სურვილი, მისწრაფება და ტრადიცია აღარ ექნება თამბაქოს მოსაწევად.

# კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 2. სპორტული შეჯიბრება. 4. ასკეტური ცხოვრების მიმდევარი. 5. დიდი ქვა. 7. დაფა გამოფენის ექსპონატების მოსათავსებლად. 8. ელექტროძალის საზომი ერთეული. 11. მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 12. ჭადრაკის ფიგურა. 13. მამაკაცის სახელი. 18. მცენარე. 19. ყვავილი. 20. მუსიკალური ნოტი. 21. გადასახადის სახე ძველ საქართველოში. 25. გრამატიკული ტერმინი. 26. თარსი ანუ... 28. ქვეყანა ევროპაში. 29. ფრინველი. 31. პირის ღრუს ნაწილი. 33. ტბა. 35. რაიმეს ჩამოწერა. 36. სუსტი ქარი. 37. ჭურჭელი. 39. ვაზის სახეობა. 41. ხილი. 42. სასოფლო-სამეურნეო იარაღი. 43. საომარი შეთანხმება. 44. შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა.

ვერტიკალურად: 1. ჰაერის გარსი დედამიწის გარშემო. 2. სიგრძის საზომი ერთეული. 3. ქართველი მწერლის სახელი. 4. გერმანელი დრამატურგი. 6. საქართველოს ძველი სახელწოდება. 9. ქართული კონიაკი. 10. ტყის მასივები ციმბირში. 14. განსაკუთრებული ნიჭი. 15. მთა აზიაში. 16. თამაშის სახეობა. 17. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უარმყოფელი წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური მიმდინარეობა. 18. შემოქმედის დამახასიათებელი ხელწერა. 22. გულის დაავადება. 23. მითიური ლეგენდის გმირი. 24. ფიზიკის კანონი. 27. ქალაქი ევროპაში. 30. ცხოველი. 32. პატარა დროშა. 34. ჩართული სიტყვა. 37. ჭანჭიკის მოსაჭერი. 38. ძიუ-დოს სასპარეზო მოედანი. 40. საოპერო ვოკალური ნაწარმოები. 41. წერილობითი თხოვნა, საჩივარი.

# ფრთხილად,  დოდიკა მოდის!

ამ ბიჭს დოდიკა ჰქვია. რომელს? ტუჩზე ულვაში რომ ჯეჯილივით აქვს აბიბინებული და ზურგზე ხუჭუჭი თმა აყრია; დიახ, დიახ, ნაჭის შარვლიანი, უცნაური, უზამაზარი შავი სათვალით. ეგ, სწორედ ეგ, „იკარუსის“ ზურგს რომ მიჰყუდებია, აბოლებს და თანამგზავრებს ირონიით რომ გადაჰყურებს. გადაჰყურებს და გამოხედვით ეუბნება — თქვენ ვინა ხართ, მე სულ სხვა ვინმე ვარო!

ჯერ ეს ვიკითხოთ, თვითონ სახელი „დოდიკა“ რას ნიშნავს. „დოდო?“ არა, მაშინ „დოდოკა“ ერქმეოდა. „დოდე?“ არა, არც „დოდე“, რადგან „დოდე“ ფრანგული გვარია. ბოროტი ენები ამბობენ, რომ დოდიკას ნამდვილი სახელი მიხეილია, მიშა. „დოდიკა“ კი მერე, გვიან შეარქვა დედამისმა. შეარქვა მაშინ, როცა დოდიკას მამა გვარიან თანამდებობაზე მოეწყო და ოჯახის წევრებმა ძველი, არამოდური სახელები იუკადრისეს.

რას აბოლებს, ბიჭო, ჩვენი დოდიკა! ერთ წამს თუ მაინც მოუვა აზრად, რომ ავტობუსში თამბაქოს მოწევა არ შეიძლება და ასეთი საქციელით შეურაცხყოფას აყენებს საზოგადოებას?! აზრზე როგორ არ მოდის, მაგრამ მას ხომ დოდიკა ჰქვია, ასეთ სახელს კი მის გარდა არავის ეძახიან მის უბანში. მაშასადამე იგი სულ სხვაა, ყველასგან გამოირჩევა. არ ჰგავს არც მათეს, არც — სიკოს, არც — ნიკოს, პავლეს, გიორგის. რადგან არც ერთ სხვა ადამიანს არა ჰგავს, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არა ჰგავს ადამიანს. მაშ რატომღა უნდა გვიკვირდეს, რომ მისი საქციელიც არ ჰგავდეს ადამიანურ საქციელს?

ჩვენ ახლა „იკარუსის“ ფირმის ავტობუსში ვსხედვართ, ახალთახალ ავტობუსში. მარცხნივ, მესამე რიგის სკამის ზედაპირი რომ დანით არის ამოჭრილი, ეს დოდიკას ხელობაა. წინ, სკამის ზურგზე რომ წერია „დოქე“, ესეც დოდიკას ნახელავია და „დოდიკასა“ და „ქეთინოს“ ნიშნავს. ამით დოდიკამ თავის ქეთინოსაც მიანიჭა უკვდავება. „დოქე“, „დოქე“, „დოქე“. იარეთ და იკითხეთ სკოლაში, სახლის კედელზე, მაღაზიაში, ტელეფონის აპარატზე, ბოძზე, წიგნებზე, ეკლესიების გუმბათებზე და, ასე გასინჯეთ, დოდიკას საკუთარ მკლავზეც კი.

რას გააკეთებდა მოცლილი დოდიკა საზოგადოების ყურადღება რომ მიექცია?

ძლოკვს დაიხვევდა მკლავზე, მაღაზიაში შევიდოდა და გამყიდველ ქალს ძლოკვს დახლზე დაუსვამდა. გამყიდველი ქალი, როგორი კარგი საქონლისმცოდნეც უნდა ყოფილიყო იგი, დოდიკას საქონელს მაინც ვერ ამოიცნობდა, უვნებელი ძლოკვი შხამიანი გველი ეგონებოდა და ისტერიკისაგან გულწასული კანფეტის ტომარაზე გადაკოტრიალდებოდა.

დოდიკა კი იცინებდა, იცინებდა, სიცილით დაოსდებოდა.

მერე ქეთინოს დაურეკავდა და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართებოდა:

— დრასტი, ქეთი.

— დრასტი დოდ.

— ზემელთან ჩამო...

— ნიკაკ ნე მაგუ, — იპრანჭება ქეთი.

— აბა, ეგენი არ იყოს!

— ია სმამოი, ზნაიშ, კუდა?

— არ გადამრიო!

— ვა, ჩემი რა ბრალია?!

— მაშ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა! — ყურის ბრაზმორეული დოდიკა, ტელეფონის აპარატიდან ყურმილს გლეჯს ზონარიანად და ასე მოისვრის, თითქოს თავისი გაკეთებული იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ძმაკაცებს მიაკითხავს დოდიკა, ბოლმაზე რამდენიმე ბოთლს „იკისრებს“ და მშობლებისა და სამშობლოს სადღეგრძელოს თბილის-ქალაქის სადღეგრძელოც მოჰყვება.

დოდიკა ჭიქას ძირამდე ცლის და ბოლმის გასაქარვებლად სიგარეტის ფილტრს ღეჭავს.

ამის შემდეგ დოდიკა მაღაზიის ვიტრინას მუშტით ტეხავს. ეს თითქმის მსოფლიო რეკორდია, მაგრამ როგორ იკადრებს დოდიკა, რომ ისეთ უბრალო რამეზე ილაპარაკოს, როგორიც ერთი სანტიმეტრი სისქის შუშის მუშტით ჩატეხვაა?

ახლა სხვა რამ ვთქვათ, სხვაფრივ ვთქვათ, სხვა ბოსტანში გადავისროლოთ კენჭი. განა ის კი საკადრისია, რომ ჩვენ, ცოცხალი ადამიანები დავდივართ ქალაქში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით დოდიკას და მის მიერ ავი საქმის კეთებას თვალს ვარიდებთ? ვითომ რა? გვეშინია დოდიკასი? რატომ გვეშინია? ის თუ ათია, ჩვენ ხომ ასნი ვართ, ის თუ ასია, ჩვენ ათასნი ვართ, ის თუ ათასია, ჩვენ ათი ათასნი, ასი ათასნი ვართ და მაინც ვერიდებით დოდიკას, არ გვინდა მისი ალაგმვით თავი შევიწუხოთ.

აქ ერთი აზრია საჭირო, ერთი პირი, ერთი გული. დოდიკას გამოჩენაზე ყოველი ჩვენგანი უნდა ამოქმედდეს, შეიმართოს და ყველას გასაგონად დაიძახოს:

— მოემზადეთ, ფრთხილად, დოდიკა მოდის!

**გია ივანიშვილი**

---

ჭადრაკში ბავშვთა მასობრივი ტურნირი პირველად ლენინგრადში შედგა. ეს იყო 1934 წელს. მასში ასი ათასზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი საჭადრაკო მოძრაობას პატარებს შორის.

საბჭოთა კავშირში ახლა მილიონობით მოჭადრაკე ბავშვია. ისინი სკოლამდელი ასაკიდანვე იწყებენ ვარჯიშს. სკოლის პერიოდშივე იწრთობა-იხვეწება თითოეული მათგანის ნებისყოფა, სპორტული ფორმა და სტილი. სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებში ისინი გატაცებით ეუფლებიან სპორტის ამ სახეობას. ღირსეული ცვლა ეზრდება საბჭოთა ჭადრაკს! განა ასე არ მოვიდნენ ჭადრაკის სამყაროში მიხეილ ბოტვინიკი, ტიგრან პეტროსიანი, მიხეილ ტალი, ბორის სპასკი, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და სხვები. არც ისე დიდი ხანია, რაც მსოფლიო აალაპარაკა 13 წლის მოსწავლემ მაია ჩიბურდანიძემ.

ქ. მოგილოვში დიდი სამზადისი იყო ჩემპიონატის მონაწილეთა მისაღებად. „მსოფლიოს ჩემპიონთა პრიზზე“ ღრთაბრძოლაში ჩვენი ქვეყნის 20 გუნდი მონაწილეობდა.

ჩემპიონატის დასაწყისშივე მაყურებელი ქართველი მოჭადრაკეებისადმი სიმპათიით განიმსჭვალა. მიუხედავად თუ არა საჭადრაკო დაფებს, სხვა მონაწილეებთან შედარებით უველაზე პატარა, ცეროდენა ბავშვებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, ისინი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ.

და აი, სახელოვანი ხუთეული — 10 წლის თამრიკო ებანოიძე, თორმეტი წლის გიორგი ხომერიკი და არკადი თოფურია, თერთმეტი წლის იგორ კუზმინი და ბადრი გოროზი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და „მსოფლიოს ჩემპიონთა პრიზის“—„თეთრი ეტლის“ მფლობელები გახდნენ.

ქართველი მოჭადრაკეების ეს დიდი გამარჯვება შემთხვევითი როდი იყო. მათ იგი დიდი ხნის თავდადებული ვარჯიშისა და სწავლის შედეგად მოიპოვეს.

ოთხი წელია, რაც მწვრთნელმა შოთა ინწკირველმა პიონერთა სასახლიდან ექსპერიმენტულ სკოლაში გადაინაცვლა და თავისი მდიდარი პედაგოგიური გამოცდილებით კვალი დაამჩნია აღსაზრდელებს.

1971 წლის გაზაფხულზე ამ ხუთეულის წარმომადგენლებმა, ჯერ კიდევ ოქტომბრელებმა, რომლებსაც ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდათ, თბილისში პიონერული ასაკის გუნდთა პირველობაზე III საპრიზო ადგილი მოიპოვეს. 1972 წლის გაზაფხულზე კი პატარები თბილისის ჩემპიონები და საქართველოს პირველობაზე III საპრიზო ადგილის მფლობელნი გახდნენ. 1973-74 წლებში გუნდმა ზედიზედ მოიპოვა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონობა.

აი, ასეთი წარმატებებით განვლო სპორტული გზა თბილისის ექსპერიმენტული სკოლის მოჭადრაკეთა გუნდმა, ვიდრე ის ამ დიდ გამარჯვებას მიაღწევდა.

* * *

ცეროდენა ჩემპიონები სკოლის პედაგოგთა და თანატოლთა დიდ ყურადღებას იპყრობენ; და განა მარტო ჭადრაკით? უპირველესად — სწავლით! ამ ხუთეულის თითოეული წევრი ხუთოსანია.

საზაფხულო არდადეგები იყო. პატარები ქალაქიდან დასასვენებლად გაკრეფილიყვნენ. ჩვენ მხოლოდ იგორ კუზმინი გავიცანით. იგი რედაქციაში გაღიმებული შემოვიდა, მის ცნობისმოყვარე, მოუსვენარ თვალებს უხდებოდა ბავშვური ღიმილი.

ბიჭუნა გატაცებით გვიყვებოდა ჭადრაკის, სკოლის, მეგობრების ამბებს. მოიგონა, ხუთი წლისას როგორ შეასწავლა მამამ საჭადრაკო სვლები, როგორ ხატავდა ცარცით ასფალტზე ჭადრაკის დაფას და მერე როგორ დაიწყო თამაში, როგორ დაინტერესდა ჭადრაკის სამყაროთი, როგორ იქცა მის იდეალად ამერიკელი მოჭადრაკე პოლ მორფი, რა გატაცებით უყვარს კარპოვი, რომ ყველა საგანს გეოგრაფია და ისტორია ურჩევნია და მაინც, უდიდესი სურვილი აქვს „საჭადრაკო ფაკულტეტი“ დაამთავროს და მოჭადრაკე გახდეს.

საუბარში დროდადრო შოთა მასწავლებელიც ჩაერეოდა ხოლმე. მაშინ იგრძნობოდა ის დიდი სიყვარული, რომელიც ყოველთვის არსებობს ნამდვილ პედაგოგსა და მოწაფეს შორის.

ცეროდენა ჩემპიონები განათლების სამინისტროს მიერ დაჯილდოებული საგზურებით სექტემბერში არტეკში გაემგზავრნენ. ჭადრაკი იქაც მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

**მანანა მუშკუდიანი**



# ცეროდენა ჩემპიონები

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# მოდა და პარიკი



ადამიანი ჯერ კიდევ წინაისტორიულ პერიოდში იჩენდა მისწრაფებას თმის ლამაზი ვარცხნილობისადმი. ერთ-ერთი უძველესი ვარცხნილობაა ნაწნავები. სასურველი ვარცხნილობის შესანარჩუნებლად ძველთაგანვე ხმარობდნენ ცხენის ძუის ბადეს, ხოლო დეკორაციული მიზნით — ბუმბულს და სხვა მასალისაგან დამზადებულ სამკაულებს, ბეწვისა და ქსოვილის თავსაბურავებს.

ეგვიპტის კულტურის განვითარების მთელი ორი ათასეული წლის განმავლობაში პარიკი შეძლებულ ფენებში, როგორც ქალის, ისე მამაკაცის ტუალეტის აუცილებელი ატრიბუტი იყო.

ძველ საბერძნეთსა და რომში პარიკს არ ატარებდნენ, თუმცა ვარცხნილობასა და თმის სამკაულებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

შუა საუკუნეებში თმის სილამაზეს დიდი ყურადღება ექცეოდა. მაგრამ რადგან გათხოვილი ქალისთვის აუცილებელი იყო თავის სიშიშვლე დაეფარა, ამან ბიძგი მისცა მდიდრული ქუდების, თავსაფრებისა და სამკაულების დამზადებას.

XVII საუკუნეში საფრანგეთმა წამყვანი ადგილი დაიკავა ევროპაში და საფრანგეთის სამეფო კარის მოდა ყველასათვის მისაბაძი გახდა. ერთმა სუბიექტურმა ფაქტორმა — მეფე ლუდოვიკო XIV გამელოტებამ, კვლავ გაუხსნა გზა პარიკებს. მეფემ, რომელსაც ბუნებრივი მშვენიერი ქერა თმა ჰქონდა, ავადმყოფობის შემდეგ გამელოტება დაიწყო. სილამაზე რომ შეენარჩუნებინა, იგი ჯერ ოქროსფერ აბრეშუმს იწნავდა თმებში. შემდეგ კი, როცა ამანაც აღარ უშველა, პარიკს მიმართა და რადგან ყველაფერი, რასაც ეს მონარქი მოიმოქმედებდა, მისაბაძი იყო, პარიკი ჯერ საფრანგეთის მეფის კარზე დამკვიდრდა, შემდეგ კი მთელს ევროპაში.

საფრანგეთი არ იშურებდა დიდძალ ოქროს პარიკების დასამზადებელი ნატურალური თმის შესაძენად. ფინანსთა მინისტრს კოლბერს უნდოდა აეკრძალა პარიკების ტარება, მაგრამ გამოირკვა, რომ პარიკების ექსპორტი არათუ ანაზღაურებდა საზღვარგარეთ შეძენილი თმის საფასურს, არამედ დიდ მოგებასაც იძლეოდა. მიუხედავად ამისა, 1703-1715 წლებში პარიკის ტარება გადასახადით იბეგრებოდა.

XVIII საუკუნეში სასახლის კარისა და არისტოკრატიის მოდაში პარიკს კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ახლა უკვე დაუდევრად იჭრიდნენ საკუთარ თმებს, ძილის წინ კი თავზე ჩაჩს იხურავდნენ. არისტოკრატებში საკუთარ თმაზე ზრუნვა დიდ სირცხვილად და ჩამორჩენილობად ითვლებოდა. პარიკის ტარების მოდამ აპოგეას მიაღწია. პარიზში სამი აკადემია საგანგებო პარიკმახერ-ოსტატებს ამზადებდა. პარიკების სიმაღლემ და სირთულემ გროტესკული ფორმა მიიღო, რაც არაერთი სატირული ნახატისა და გამოთქმის საბაბი გახდა. ის აბსურდული ფაქტი კი, რომ შეიქმნა სპილოს ძვლის სპეციალური საქექები, რომლითაც არისტოკრატია პარიკის ქვეშ დაბუდებული პარაზიტებისგან გამოწვეულ ქავილს იმსუბუქებდა, ჩვეულებრივი ამბავი იყო.

მხოლოდ 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ მოუღო ბოლო პარიკების ბაკქანალიას. პარიკი მხოლოდ ინგლისელ მოსამართლეთა კოსტუმის ტრადიციულ ატრიბუტად და ლაქიათა ზოგიერთი ჩაცმულობის ელემენტად იქცა, ხოლო XIX და XX საუკუნეებში თეატრალური რეკვიზიტი გახდა.

ვისაც ლამაზი, ბუნებრივი თმა და მოდური ვარცხნილობა უყვარს, პარიკი ყოველდღიურად არ უნდა ატაროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი დაკარგულ ბუნებრივ თმას ცვლის.

XX საუკუნის სამოციანი წლების ვარცხნილობამ, რომელიც თმის უმოწყალოდ აჩეჩვას მოითხოვდა, კვლავ გაუხსნა გზა პარიკს. პარიკების შექმნის პრობლემა ამჯერად სინთეტური თმის სამრეწველო წარმოებით გადაიჭრა. თმა დამაგრებულია ელასტიკურ სარჩულზე და თავზე ისე მაგრდება.

საკითხი, თუ რამდენად უხდება და როგორ მოქმედებს თანამედროვე მოდური პარიკები ბუნებრივ თმებზე, ღიად რჩება. ერთი კი ნათელია, პარიკის ტარებისას ბუნებრივი თმა უფრო უფერული და ულამაზო ხდება.

შეიძლება გონებამ სძლიოს მოდას და ყოველდღიურ ცხოვრებაში პარიკი მხოლოდ მაშინ იქნას გამოყენებული, როცა ადამიანს საკუთარი თმა არა აქვს.

### „დროშის“ № 8-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 3. პანტომიმა. 7. გამბიტი. 8. ციმბალი. 10. კურსელი. 11. დიაცი. 12. სირია. 14. ცარცი. 17. აპატიტი. 19. რაიკინი. 21. სინდიკი. 24. ნიგერია. 27. ასაკი. 28. ოდერი. 31. ბასრი. 32. ემბარგო.. 33. იალბუზი. 34. აბაშიძე. 35. ანტრესოლი.

ვერტიკალურად: 1. ტაქტიკა. 2. ამფიბია. 4. ორკესტრი. 5. ამბიცია. 6. მარხილი. 7. გორილა. 9. იპრიტი. 13. ლიბია. 14. „ციცია“. 15. ირანი. 16. სიმგა. 18. პაი. 20. ნეი. 21. სადაფი. 22. ნარგილე. 23. კაკაბაძე. 25. რეაქცია. 26. აგრეჟე. 29. ბენზინი. 30. კომბალი.

### „დროშის“ № 9-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 5. დუნაევსკი. 7. ტალი. 8. ტახო. 9. ვალორიზაცია. 12. ალეა. 15. აბლიკაცია. 17. ლუზა. 19. ვილია. 22. პაიკა. 23. ზლოტი. 24. ბაზა. 25. რენიო. 26. რური. 27. სეიმი. 28. ვერფი. 29. ალიბი. 32. ტანი. 34. იაკოვლევი. 35. იდეა. 37. კოეფიციენტი. 41. ტივი. 42. აზრა. 43. ბარელიეფი.

ვერტიკალურად: 1. ოდრა. 2. თემი. 3. ვიში. 4. კლიშე. 6. ტარტუ. 10. რეინი. 11. ზვავი. 13. ლაპლანდია. 14. ალებასტრი. 15. ალპინიზმი. 16. ავტოგრაფი. 17. ლაბირინთი. 18. ზაქარიაძე. 19. ვარია. 20. ლანდი. 21. აზოვი. 30. ლაოსი. 31. ბელტი. 33. ნიუვი. 36. დერბი. 38. ორბი. 39. ცელი. 40. ტუია.





ბავშვისა და ძაღლის მეგობრობაში არის რაღაც განსაკუთრებულად უშუალო და გულწრფელი.

ალბათ ძნელია ისეთი ბავშვის ნახვა, რომელიც გერმანულ ნაგაზზე,





თუ გნებავთ, ოთახის ციცქნა ფინიაზე, ანდა, მეცხვარის ვეება ძაღლის ყოლაზე რომ არ ოცნებობდეს.

ქუჩებში ხშირად შეხვდებით ბიჭუნებსა და გოგონებს, რომლებიც ამაყად დაასეირნებენ თავიანთ საყვარელ ძაღლებს. ამ ანცებს დილიდან საღამომდე შეუძლიათ ძაღლებთან ერთად ირბინონ და იხტუნონ, ყირაყირა გადავიდნენ და მერე დაქანცულები იქვე, ქუჩის ქვაფენილზე ჩამოსხდნენ და დაისვენონ. (სურათი 1).

ძაღლების გამოფენა, მათი ერთმანეთთან დაჯიბრება, რაღა თქმა უნდა, პატარებისათვის დიდი ზეიმია.

ეს გარინდებული ბიჭუნა, რომელსაც გულში ჩაუხუტებია ძაღლი, ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს: მისმა „მალყამ" ამ შეჯიბრებაზე აუცილებლად ოქროს დიდი მედალი უნდა მიიღოს! (სურათი 2).

შეჯიბრება კარგა ხანია დაიწყო. ამდენი განცდა, ამდენი ნერვიულობა, ამდენი გულისგამაწვრილებელი მოლოდინი, ბოლოს და ბოლოს, შეჯიბრის თავგამოდებულ მოყვარულსაც კი დაამთქნარებინებს. (სურათი 3).

ეს ძაღლი შეჯიბრებიდან გააძევეს. მისი თავმოყვარეობა შელახულია. ვეღარ ითმენს, უნდა თოკს გადაახტეს, გამოსაცდელ ასპარეზზე გაიჭრეს და უგულო მსაჯებს დაუმტკიცოს თუ რისი გაკეთება შეუძლია. (სურათი 4).

ეთერ მაჭავარიანი

ფოტო ა. სააკოვისა



გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაამზადეს სამედიცინო საათები, რომლებიც დროსთან ერთად სისხლის წნევასაც ზომავენ.

საკმარისია წნევამ ნორმის ზევით აიწიოს, რომ საათი მაშინვე ასტეხს რეკვას. სამედიცინო საათი განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ხანდაზმულ მომხმარებლებში.



ისეთ ფეხსაცმელებს, რომლებიც იტალიის ერთ-ერთმა ფირმამ გამოუშვა, კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ბანკის თანამშრომლებისათვის.

საკმარისია ქუსლი ქუსლს მიარტყას, რომ ფეხსაცმელში ჩამონტაჟებული მინიატურული აპარატურა ეთერში გადასცემს საგანგაშო სიგნალებს, რომლებსაც დაუყოვნებლივ მიიღებენ მახლობელ პოლიციის განყოფილებაში.

●

ინგლისელი მის ბრამლეტს, როგორც თვითონ არწმუნებს, თათების მიხედვით ზუსტად შეუძლია გამოიცნოს ძაღლების ბედ-იღბალი.

ძაღლების მკითხავი დიდი პოპულარობით სარგებლობს. მის სახლთან ყოველთვის რიგია გამართული.

●

დანიელი ჰოლმ იორგენსენი ამას წინათ იძულებული გახდა ცეცხლმოდებული თვითმფრინავიდან გადმომხტარიყო. მოხდა სასწაული: ჰოლმ იორგენსენი შემთხვევით დაეცა გაფოთლილ ხეს და უვნებელი გადარჩა.

სიხარული ნაადრევი გამოდგა. ხიდან ჩამოსვლისთანავე ბედნიერ მგზავრს ძაღლი დაეძგერა და ისე დაკბინა, რომ იგი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს.

●

იუგოსლავიაში, ქალაქ ოსიეკის მახლობელ ერთ-ერთ სოფელში გლეხმა ბაზარში ღორი იყიდა. მეორე დღეს ნაყიდი ღორი გაქრა როგორც გამოირკვა, ცხოველმა ღამით თურმე სალორე გაანგრია. 70 კილომეტრზე მეტი მანძილი გაირბინა და თავის ძველ პატრონს მიაშურა.

## კაკალ გულში

ეროვნული ბიბლიოთეკა



— თუ შენებურად იანგარიშებ, ანგარიშს ჩემებურად გაგისწორებ!

ნახატი რევაზ სანადირაძისა.



— მამა, შენ ხუთიანი არითმეტიკაში, დედა, შენ ოთხიანი სუფთა წერაში, ბებიას კი ხატვაში მიღებული ორიანის გამოსწორება მოუხდება.

ნახატი ვახტანგ კუციასი.



— იმ კაცმა რაღაც ჩაიდო ჯიბეში.

— ჯიბეს სხვა ზედამხედველი ჰყავს, მე მარტო თვალებში ყურება დამავალეს.

ნახატი თამაზ ჩარავასი.



ალექსანდრე მეტრეველი და სლავა მეტრეველი.

ძნელია ალექსანდრე მეტრეველთან და თეიმურაზ კაკულიასთან პირისპირ შეხვედრა. საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერები, განსაკუთრებით პირველი, სულ მოგზაურობაში არიან, ერთ დღეს რომ ევროპის რომელიმე ქვეყანაში გამოდიან, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მყისვე ბარგს აიკრავენ და სადღაც კიდევ უფრო შორს ამოყოფენ ხოლმე თავს.

შეიძლება იყოს მსოფლიოში ჩოგბურთელი, რომელსაც ალექსანდრე მეტრეველზე მეტი ტიტულები ჰქონდეს და თეიმურაზ კაკულიაზე უფრო კარგად იცოდეს გაჭირვებაში კოლეგების ხსნა?

აბა, სცადე და ერთ პატარა წერილში ჩამოთვალე ალექსანდრე მეტრეველის სპორტული გმირობის ამბები, გინდ თეიმურაზ კაკულიას თამაშის ბევრი ამაღელვებელი მომენტი. მათი სპორტული ტიტულები ბარე ოცამდე სპორტსმენს ეყოფოდა თავის გამოხაჩენად.

მკითხველს მცირე წარმოდგენა რომ ჰქონდეს ამ ორ სახიქადულო სპორტსმენზე,* ორიოდე ეპიზოდს გავიხსენებ ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიას სპორტული ცხოვრებიდან, მოგითხრობთ მხოლოდ შარშანდელ და წელს მომხდარ მთავარ მომენტებზე.

ჩოგბურთის სამშობლო ინგლისი გახლავთ. ეს სპორტული სახეობა ამ ქვეყნის არმიის მაიორმა უინმფილდმა „ალმაჩინა" და პატენტიც კი მიიღო მისი გამოგონებისთვის. ეს იყო ზუსტად 100 წლის წინათ, 1874 წელს. მას შემდეგ ჩოგბურთი მოედო მთელს ჩვენს პლანეტას, იგი სულ მალე ძალზე პოპულარული გახდა, ახალგაზრდობისა და ხანდაზმულთა სპორტის საყვარელ სახეობად იქცა. ბუნებრივია, ჩოგბურთს ყველაზე უფრო ინგლისში აფასებენ, ეთაყვანებიან, ცამდე აჰყავთ ასპარეზობაში გამარჯვებული. მსოფლიოში ყველაზე დიდი შეჯიბრება სწორედ აქ ტარდება, ლონდონია უიმბლდონის ტურნირის, მსოფლიოს არაოფიციალური პირველობის სარბიელი. რომელი ჩოგბურთელის ოცნება არ ყოფილა მონაწილეობა მიეღო ამ დიდ ასპარეზობაში, ერთი ორთაბრძოლაც რომ მოეგო, მაინც კმაყოფილი იყო, რადგან მას გაზეთები თუ ჟურნალები ქებით მოიხსენიებდნენ, მასზე ილაპარაკებდნენ სპეციალისტები.

და აი, 1973 წელი. ლონდონი, უიმბლდონის მორიგი ტურნირი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის „ვარსკვლავებთან" ერთად მის კორტებზე გამოსასვლელად ქართველი ალექსანდრე მეტრეველიც ემზადება. ათასნაირი წინასწარმეტყველება ტურნირის მომავალ ფავორიტებზე, ათასნაირი პროგნოზი და მითქმა-მოთქმა. არავის უფიქრია ფავორიტთა შორის ქართველი სპორტსმენიც დაესახელებინა. ანდა, როგორ დაასახელებდნენ, როცა სარბიელზე გამოსვლას აპირებდნენ მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენები, ამ სახეობის უზადო ოსტატები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროპიდან, შორეულ ავსტრალიიდან.

გულშემატკივართა, სპეციალისტთა ყველა პროგნოზმა კრახი განიცადა, როცა მთავარი ტურნირის ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ჩეხოსლოვაკიელი იანოშ კოდეში და ქართველი ალექსანდრე მეტრეველი. ეს უკვე უიმბლდონის სენსაცია იყო. მსოფლიო „ვარსკვლავებმა" ფარხმალი დაყარეს მათს წინაშე, გამოეთიშნენ ასპარეზობას და სარბიელი უფრო ახალგაზრდებს „დაუთმეს".

ალექსანდრე მეტრეველმა წააგო გადამწყვეტი ბრძოლა, მაგრამ მისი მეორე ადგილი — უიმბლდონის ფინალისტის სახელიც ძალიან ბევრს ნიშნავდა.

ქართველ ჩოგბურთელს რევანშის წყურვილი მოსვენებას არ აძლევდა. სურდა სადმე კიდევ შეხვედროდა ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენს და დაემტკიცებინა, რომ ისიც ღირსი იყო ეტარებინა უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულის სახელი.

ეს დღეც დადგა.

... მეშახტეთა ქალაქი დონეცკი, „ლოკომოტივის" ბრწყინვალე საჩოგბურთო კორტები. ანძაზე ფრიალებენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სახელმწიფო ალმები. აქ უნდა შედგეს ოფიციალური მატჩი დევისის თასზე (მსოფლიო გუნდური პირველობა) ამ ორი ქვეყნის უძლიერეს მოთამაშეთა შორის. შეხვედრა დაიწყო ალექსანდრე მეტრეველ-ბორა იოვანოვიჩის მატჩით. თუკი პირველ პარტიაში ქართველმა ჩოგბურთელმა ცოტა არ იყოს აალელვა მისი გულშემატკივრები, როცა ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა, შემდეგ დიდოსტატურად ითამაშა და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

თეიმურაზ კაკულიას მეტოქე იყო იუგოსლავიის პირველი ჩოგანი ნიკოლა პილიჩი. ძნელი იყო ამ აღიარებული ჩოგბურთელის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ თეიმურაზმა მაინც შემართებით იბრძოლა და მოიგო კიდეც პირველი პარტია. პილიჩი, ალბათ, არ მოელოდა მოწინააღმდეგის მხრიდან ასეთ შემართებას და მთელი თავისი ოსტატობის დემონსტრირება დასჭირდა, რომ გაემარჯვა.

ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

მეორე დღეს ორთაბრძოლები განახლდა. წყვილთა თამაში ჩვენებმა მოიგეს და ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო მეტრეველ-პილიჩისა და კაკულია-იოვანოვიჩის შეხვედრებზე. ქართველი ჩოგბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ ითამაშეს და საბჭოთა გუნდი დევისის თასის გათამაშების მომდევნო ეტაპში გაიყვანეს, სადაც მას ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი ელოდა, რომელსაც უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი იანოშ კოდეში მეთაურობდა. ამოცანა ძალზე რთული იყო, ჩეხოსლოვაკიელები უბრძოლველად არ დათმობდნენ არც ერთ ქულას. ყველა, ვინც კი ამ დღეებში სარბიელის ტრიბუნებზე იჯდა, მეტრეველ-კოდეშის შეხვედრის მოლოდინით სუნთქავდა.

მატჩი დაიწყო მეტრეველ-პალას შეხვედრით. იგი საბჭოთა სპორტსმენმა მოიგო. მაგრამ კოდეში რომ დაამარცხებდა თეიმურაზ კაკულიას, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ეს ასეც მოხდა და ასპარეზობის ანგარიში გათანაბრდა — 1:1. მომდევნო დღეს საბჭოთა ჩოგბურთელთა დუეტმა — მეტრეველმა და ვლადიმერ კოროტკოვმა წააგო და ჩვენი გუნდი მარცხის წინაშე აღმოჩნდა.

ალექსანდრე მეტრეველი — იანოშ კოდეში... შეძლებს კი რევანშის აღებას ქართველი ჩოგბურთელი, ერთი წლის წინ ლონდონში მარცხის შემდეგ? თანაც მდგომარეობა ძალზე დაძაბულია, ჩეხოსლოვაკიელები წინ არიან ერთი ქულით და ოდნავ წაფორთხილებას შეუძლია ყველაფრის უცბად წყალში ჩაყრა.

ამ სპორტულად საინტერესო მატჩის აღწერა ძალზე ძნელია. უიმბლდონის ფინალისტების ორთაბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო, კოდეშის გამარჯვება და ჩვენებს დევისის თასის გათამაშების მორიგი ეტაპისკენ გზა მოჭრილი ჰქონდათ, ერთი შეხედვით თითქოს კოდეში უფრო აქტიური ჩანდა, უფრო მეტს უტევდა. პირველი ხელი სტუმარმა მოიგო, მომდევნო — მეტრეველმა, შემდეგ იგივე განმეორდა და ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

გადამწყვეტი ხელი. მან უნდა დაასახელოს გამარჯვებული გუნდი. კოდეშმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და დაწინაურდა — 4:1. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ძალზე ახლოს იყო სანუკვარ გამარჯვებასთან, მაგრამ ალექსანდრე მეტრეველმა რაღაც ზებუნებრივი მოიმოქმედა, შეუძლებელი გააკეთა და საბჭოთა გუნდს გამარჯვება მოუტანა. ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ეს ამაღელვებელი ორთაბრძოლა.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს   პ ი რ ვ ე ლ   გ ვ ე რ დ ზ ე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა. ამწყობი ზეინკლის ჯემალ ორაგველიძის (მარჯვნიდან მეორე) ნამუშევრის შემოწმება. მ ე ო თ ხ ე   გ ვ ე რ დ ზ ე: თბილისის ხიდები. ფოტოები თ. არჩვაძისა.

გადაეცა ასაწყობად 9/IX-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 53.000. შეკვ. 3346, უე 01891, ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

. რ ე დ ა ქ ც ი ი ს   მ ი ს ა მ ა რ თ ი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეიმურაზ კაკულია და იტალიელი ჩოგბურთელი ა პაულო



ალექსანდრე მეტრეველი



ალ მეტრეველი და ს კოროტკოვი.



თეიმურაზ კაკულია კორტზე

# ႾႤႪႫႠႰႠႥႤႣ ႱႺႤႫႣ ႹႭႢႠႬႱႠ..

ფოტო.
ბივი კიკვაძისა

მეტრეველმა გამარჯვების მაუწყებელი ბურთი როცა მეტოქის მოედანზე ჩაჭრა, მყისვე ფეხზე წამოიჭრა ამ ასპარეზობის მთავარი არბიტრი, იტალიელი კარლო მარტინი და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— ეს ფანტასტიკურია! ყველა საერთაშორისო ტურნირს დაამშვენებდა ეს ორთაბრძოლა!

შეხვედრის ანგარიში თანაბარი გახდა — 2:2; თეიმურაზ კაკულიას თამაშზე იყო დამოკიდებული ამ მატჩის ბედი. ქართველი ჩოგბურთელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გამარჯვებისათვის უდიდესი სწრაფვა გამოავლინა, კრიტიკულ მომენტებში სწორუპოვარი გახლდათ, მოუგო მეტოქეს და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა; უსაზღვრო იყო სიხარული, ხუმრობა ხომ არ არის, გახვიდე მსოფლიოს უძლიერესი გუნდების ოთხეულში, ეს სიხარული და ჟღტაცება თეიმურაზმა ვერ დაფარა და შეხვედრის დამთავრებისთანავე იქვე კორტზე ქართული ცეკვის გაკვეთილი ჩაუტარა ტრიბუნებზე შეკრებილ სახეგაბრწყინებულ ათასობით გულშემატკივარს.

კვლავ გზა... დონეცკიდან პოლონეთის ქალაქ ვროცლავში, ევროპის ჩემპიონატზე, იქიდან მოსკოვში, დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ კიდევ ახალი მოგზაურობა, ახალი საპასუხისმგებლო ასპარეზობები...

ჩვენ მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს — ყოველთვის გამარჯვების გზით ევლოთ, ხელ-მარჯვედ სცემდნენ ჩოგანსა!

ზურაბ ჯაფარიძე

საპასუხო დარტყმა.



თეიმურაზ კაკულია შინ.



# ფიზიკის ინსტიტუტი





ფოტო თარხან არჩვაძისა და შოთა ჩხეტიანისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტი, სადაც ატომური ენერგიის ხალხის სამსახურში ჩასაყენებლად დაიხვა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად იღწვიან, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი სამეცნიერო დაწესებულებაა.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ფუნდამენტალურმა შრომებმა, ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიებით მოპოვებულმა წარმატებებმა ინსტიტუტს შორს გაუთქვა სახელი.

შემოქმედებითი ძიება გრძელდება. ინსტიტუტის სახელმოხვეჭილი სპეციალისტები, რიგითი თანამშრომლები, ყველა, ისე როგორც ერთი, ჩვე-










ული მონდომებითა და თავდადებით შრომობენ, ილწვიან, ქმნიან. ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი ქართველ ფიზიკოსებს ახალ-ახალი მეცნიერული წარმატებებისაკენ უხმობს.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტი შოთა ჩხეტიანი ეწვია ფიზიკის ინსტიტუტს და ფირზე აღბეჭდა ინსტიტუტის ცხოვრებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების ამსახველი კადრები. გთავაზობთ ამ ფოტოსურათებს.

1. ფიზიკის ინსტიტუტს დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს ცნობილი საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი

2. ლაბორატორიის გამგე გალაქტიონ ნაცვლიშვილი და მეცნიერ-თანამშრომელი იზოლდა ლესელიძე ელექტრონული მიკროსკოპის მეთოდებით სწავლობენ ნეიტრონული დასხივებით გამოწვეულ დეფექტებს ლითონებსა და შენადნობებში.

3. „კვანტური კრისტალები" მყარი ტანის ფიზიკის ახალი მიმართულებაა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა თეორეტიკოსებმა

ფიზიკის ინსტიტუტში ფართოდ გაიშალა მუშაობა ამ თავისებური კრისტალების თვისებების შესასწავლად.

უფროსი ინჟინერი ივანე გაჩეჩილაძე და მეცნიერ-თანამშრომელი ზაირა ნადირაშვილი ატარებენ მორიგ ექსპერიმენტს.

4. სამეცნიერო კვლევათა ავტომატიზაციის განყოფილებაში თავს იყრის მრავალი ექსპერიმენტის მონაცემები. ეს მონაცემები სისტემა „ქსანის" მეშვეობით ავტომატურად გადაეცემა გამომთვლელ მანქანას ნაწილობრივი დამუშავებისა და ექსპერიმენტის მართვის მიზნით.

განყოფილების გამგე დევი ლარიბაშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი სარა შრაბშტეინი და ოპერატორი ლარისა შილინა ატარებენ მორიგ ექსპერიმენტს.

5. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ილია ნასყიდაშვილი დაბალტემპერატურული რადიაციული მასალათმცოდნეობის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად იხილავს ახალმიღებულ შედეგებს.

6. აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი მორიგ თათბირს ატარებს ინსტიტუტის განყოფილების გამგეებთან.

7. რეაქტორის ფიზიკურ დარბაზში, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ კრიოგენულ ლაბორატორიას, მიმდინარეობს ექსპერიმენტები დაბალტემპერატურულ რადიაციულ მასალათმცოდნეობაში, ბირთვული რეაქტორების ფიზიკაში, ბიოფიზიკაში და ფიზიკის სხვა დარგებში.







ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



